კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მაგდანა ბესელია

ნატოს სტრატეგიული კონცეფცია და ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეები: ახალი ტერორიზმის ფენომენი და მასთან ბრძოლის სტრატეგიები

საერთაშორისო ურთიერთოებები და საერთაშორისო უსაფრთხოება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ მაისაია.

თბილისი 2018

ანოტაცია

თანამედროვე მსოფლიოსათვის ტერორიზმთან ბრძოლა უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. დღესდღეობით უდიდესი რესურსები იხარჯება პოზიტიური შედეგების მისაღწევად, მაგრამ ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ ამერიკისა და ევროპის დიდი ქალაქები: ნიუ იორკი, პარიზი, ბრიუსელი, ნიცა, ბერლინი, მანჩესტერი, ბარსელონა და სხვები უკვე მოიცვა ტერორისტულმა შეტევებმა, რომლებიც თავისი სიხშირით საკმაოდ დიდ დარტყმას აყენებენ, როგორც ევროატლანტიკური ქვეყნების დემოკრატიული განვითარების გზებს, ასევე მშვიდობიან მოსახლეობასაც (2004-2017 წლებში 16 ტერორისტული აქტი განხორციელდა ევროპის ტერიტორიაზე). ქვეყნების მცდელობა გაამკაცროს უსაფრთხოების ზომები და მოაგვაროს ეს პრობლემა, განპირობებულია სწორედ უსაფრთხოების დაცვით. უკვე აშკარად შეგვიძლია გამოვყოთ XXI საუკუნის ის გარემოება, რომ უსაფრთხოების პრობლემას, სწორედ ახლი ტერორიზმი წარმოადგენს. რომელიც, როგორც სიმეტრიული ასევე ასიმეტრიული საფრთხის შემცველია მსოფლიო ქვეყნებისათვის.

მსოფლიოში უსაფრთხოების დაცვის მთავარ გარანტად დღეს ჩვენ, გვევლინება ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, მის მიერ უკვე გადადგმული ქმედითი ნაბიჯებით, როგორც დოქტრინალურ, ასევე პრაქტიკულ დონეზე. მნიშვნელოვანია გამოვყოთ ის გარემოება, თუ რა გავლანა იქონია ისეთი ახალი ტიპის საფრთხეების ფაქტორმა, როგორიც ახალი ტერორიზმია და ასევე, თუ როგორ აისახა აღნიშნული ფაქტორი ნატო-ს სტრატეგიული კონცეფციების ტრანფორმაციაში და რა ფორმით გვხვდება ის ახალ კონცეპტუალურ დოკუმენტებში.

ANNOTATION

For the modern world terrorism is the key challenge to combat. At present, huge amount of resources are spent to achieve positive results, but we can't avoid the fact that the big cities of America and Europe: New York, Paris, Brussels, Nice, Berlin, Manchester, Barcelona and others, have already been affected by terrorist attacks, which cause a great damage to the paths of democratic development of Euro-Atlantic countries, as well as to peaceful population (16 terrorist attacks were launched in 2004-2017). The countries' attempt to tighten security measures and solve this problem is determined by the security defence .We can undoubtedly say that the major problem of security in 21st century is terrorism, which is symmetrical as well as assymetrical threat to the countries of the world. Nowadays, the most important guarantor of piece is considered to be North Atlantic Alliance, because of the most important steps it has already taken on doctrinal as well as practical levels. It is important to distinguish what kind of an influence these new kinds of dangers, such as terrorism, had and how terrorism reflected on the transformation of NATO's strategic concepts and in which form it is presented in the new conceptual documents.

შინაარსი

თავფურცელი..... 1

ანოტაცია 2

ANNOTATION 3

შესავალი..... 5

თავი I. ახალი საფრთხეების მოდელი XXI საუკუნეში: ასიმეტრიული საფრთხეები და ახალი ტერორიზმი..... 16

1.1. პოლიტიკური საფრთხეები, გამოწვევების არსი და მათი კლასიფიკაცია .. 17

1.2. სამხედრო ასიმეტრიული საფრთხეები თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში 22

თავი II. ნატოს სტრატეგიული მიდგომები პოსტ ბიპოლარულ ეპოქაში, ახალი გეოსტრატეგია ახალი მსოფლიოსათვის..... 31

2.1. ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოება და პოსტბიპოლარული სამხედრო კონფლიქტები..... 33

2.2. ნატო-ს როლი კოლექტიური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში..... 41

თავი III. ნატო-ს მიდგომები ახალ ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლის საქმეში 45

3.1. ახალი ტიპის საფრთხეების ფაქტორი ნატო-ს ახალ კონცეპტუალურ დოკუმენტებში 47

3.2. ნატო-ს სტრატეგიული პარტნიორები: ასიმეტრიული საფრთხეები საქართველოში და ნატოს როლი ამ საფრთხეების აღმოფხვრაში..... 55

დასკვნა..... 64

გამოყენებული ლიტერატურა 69

შესავალი

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბოლო ასწლეულის მომხდარ კონფლიქტებში ომები გადაიზარდა ამბოხებებსა და აჯანყებებში, ამ ომებთან ერთად წამოიშვა შეიარაღებულ დაპირისპირებეთა ახალი ტალღა, სადაც მებრძოლ მხარეებს წარმოადგენს არა მარტო არმიები, არამედ სახალხო მებრძოლები და დაჯგუფებები. ტერორიზმის ისეთი ფენომენი, როგორიც ,,ხალი ტერორიზმია" XXI საუკუნის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, უნდა აღვნიშნოთ, რომ XX საუკუნეში მოხდა ტერორიზმის ტრანსფორმაცია, როგორც ასიმეტრიული საფრთხე, რომელმაც გადაინაცვლა სამხედრო სტრატეგიულ დონეზე, რაც გამოწვეული გახლდათ სამხედრო ბრძოლის ელემენტების ჩართულობით ტერორისტების მხრიდან. ასევე უნდა აღვნოშნოთ ის ფაქტი, რომ XXI საუკუნეში მოხდა ტერორისტული ქმედებების სინქრონიზაცია, რამაც გამოიწვია აუცილებლობა უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის შექმნილიყო ტერორიზმთან ბრძოლის თეორია სამხედრო მეთოდოლოგიის ხარჯზე, რომელიც შეიცავდა ომის ელემენტებს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე მოხდა ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის გარდაქმნა კოლექტიური თავდაცვიდან, კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციად.

აღნიშნული კვლევის კითხვებს წარმოადგენს:

- იმის განსაზღვრა, თუ რა არის ახალი ტერორიზმი და რა საფრთხეების შემცველია ის საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცემის საქმეში?
- არსებობს თუ არა განსხვავება და თანხვედრა ახალ სამხედრო საფრთხესა და პოლიტიკურ საფრთხეებს შორის?

- რას წარმოადგენს ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე და მოახდინა თუ არა ამ ტიპის საფრთხეებმა სიმეტრიული საფრთხეების ჩანაცვლება?
- მოხდა თუ არა ამ საფრთხეების თანაერსებობა და რამდენად აისახა ასეთი ტიპის საფრთხეების ფაქტორი ნატო-ს ახალ კონცეფციებსა და კონცეპტუალურ დოკუმენტებში?

კვლევაში გამოყენებული: ისტორიული, რაოდენობრივი, დესკრიფციული და პოლიტიკის კვლევის მეთოდების, ასევე კონტენტ და Case-Study -ის ანალიზის შესწავლის საფუძველზე კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა ისეთი ამოცანები, როგორიცაა:

- ახალი სამხედრო და პოლიტიკური საფრთხეების განსაზღვრა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში.
- ჩრდილოატლანტიკური ალიანსის, როგორც სამხედრო პოლიტიკური გაერთიანების როლი საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.
- ნატოს მიდგომები ასიმეტრიულ სამხედრო საფრთხეებთან ბრძოლის წინააღმდეგ, კერძოდ ახალ ტერორიზმთან ბრძოლის მოდელების შემუშავება მათი აღმოფხვრის მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს ნეორეალიზმის სკოლას, ბ.ჰოფმანის თეორიას ტერორიზმის შესახებ, კერძოდ ახალი ტერორიზმის თეორიას. ასევე ,,სექიურითიზაციის კონცეფცია", რომელიც უკავშირდება უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლას, რომელიც ასოცირდება ბარი ბუზანის და მათი თანამოაზრეების სახელებთან. ასევე ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის რიჩარდ კოენის სახელს და რეალიზმის სკოლის თეორია. ასევე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი უმთავრესი თეორია ,,ძალთა ბალანსის", რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.

საკითხის კვლევისას დასმული კითხვებისა და ამოცანების შესწავლის შემდეგ, რომელიც მიღწეულ იქნა საკვლევი მეთოდების, ანალიზისა და კვლევის მეთოდოლოგიის ხარჯზე გამოიკვეთა **თემის ორი ჰიპოთეზა:**

1. XXI საუკუნეში საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, რომელიც მუდმივად დგას ახალი გამოწვევების წინაშე, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი (NATO) მნიშვნელოვენ როლს თამაშობს მსოფლიო უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. თანამედროვე პერიოდისათვის ერთ-ერთი დიდ გამოწვევა ახალი ტერორიზმის ფენომენი გახლავთ, რომელიც ამავდროულად ახალი ტიპის საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოებისათვის.

2. ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეების ფაქტორი გავლენას ახდებს ნატოს სტრატეგიული კონცეფციების შემუშავებისას, ასეთი თავისებურებიდან გამომდინარე გამოსაყოფია ის ფაქტი თუ, როგორ გავლენას ახდენს ასეთი ტიპის საფრთხეები ალიანსის ახალ კონცეპტუალურ დოკუმენტებზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კაპიტალისტურ და სოციალისტურ სამყაროს შორის ვითარება მნიშვნელოვნად დაიძაბა. ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე დომინირება წარმოადგენდა. ორივე სახელმწიფო ქმნიდა ხელსაყრელ ვითარებას დაქვემდებარებულ ქვეყანაში სასურველი ხელისუფლების მოყვანისა და შენარჩუნების კუთხით. საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა დაძაბულობით გამოირჩეოდა და იქმნებოდა პირისპირ საბრძოლო მოქმედებების ინსპირირების საფრთხე. სწორედ ამ ფონზე კომუნიზმის გავრცელების საფრთხის ე.ი. საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური ინტერესების საწინააღმდეგოდ 1949 წელს შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია „ნატო“ (North Atlantic Treaty Organisation, NATO). ჩრდილოატლანტიკური ალიანსი გარკვეულწილად წარმოადგენდა იდეოლოგიური და პოლიტიკური ბარიერების გადალახვისათვის შექმნილ სახელმწიფოთა ერთობას, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ისეთი

პრინციპები გააჩნდა, როგორიცაა საყოველთაო მშვიდობა და უსაფრთხოება, რომელიც სრულად ეხმიანება გაეროს წესდების პრინციპებს. აღვსანიშნავია ის გარემოება, რომ დროისა და პოლიტიკური რეალიების ცვლილებათა მიუხედავად, აღნიშნული პრინციპები არა თუ შეიცვალა, არამედ განმტკიცდა და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა თანამედროვე მსოფლიოში არსებული პოლიტიკური გამოწვევების ფონზე. უნდა ავღნიშნოთ, რომ „ნატო"-ს ორგანიზაციის მეშვეობით მსოფლიოს ბევრმა სახელმწიფომ შეინარჩუნა და განამტკიცა სუვერენიტეტი და სამხედრო უსაფრთხოება. თანამედროვე ეტაპზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შქმნისა და შენარჩუნების გარანტს წარმოადგენს, წარსული მოვლენების საფუძველზე, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ ის ფაქტი, რომ ალიანსი XXI საუკუნეში გახლავთ ყველაზე ეფექტური საერთაშორისო ორგანიზაცია მსოფლიო უსაფრთხოების შენარჩუნების საქმეში.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევა გახლავთ ტერორიზმთან ბრძოლა. ნატოს მიერ უკვე გადადგმული ქმედითი ნაბიჯებით, როგორც დოქტრინალურ, ასევე პრაქტიკულ დონეზე. მნიშვნელოვანია გამოვყოთ ის გარემოება, თუ რა გავლენა იქონია ისეთი ახალი ტიპის საფრთხეების ფაქტორმა, როგორიც ახალი ტერორიზმია და ასევე, თუ როგორ აისახა აღნიშნული ფაქტორი ნატო-ს ტრატეგიული კონცეფციების ტრანფორმაციაში და რა ფორმით გვხვდება ის ახალ კონცეპტუალურ დოკუმენტებში. რომელიც გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს მსოფლიოსათვის. „ტერორიზმი ის იდეოლოგიაა, რომელიც ამ იდეოლოგიის მატარებელ აქტანტებს, საშუალებას აძლევს, თავიანთი მიზნების მისაღწევად ისეთ ძალადობრივ ქმედებებს მიმართონ, რაც კაცობრიობის ცივილიზებული ნაწილის უმრავლესობისათვის, უბრალოდ მიუღებელია. ეს არის

ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი იდეოლოგია, რომელსაც კაცობრიობის ისტორია დღემდე იცნობს“.[1]

როგორც კაცობრიობის ისტორიამ არა ერთხელ გვაჩვენა დიდი და განვითარებული სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ადექვატური გზა პარტიზანულ - ტერორისტულია. ამის მაგალითებია: იუგოსლავია მეორე მსოფლიო ომის დროს, ავღანეთი, ჩეჩნეთი და ერაყი. როცა ვსაუბრობთ ახალ ტერორიზმზე, როგორც ასიმეტრიულ სამხედრო საფრთხეზე არ შეიძლება არ გამოვყოთ ყველაზე მასშტაბული ტერორისტული აქტი მსოფლიოს ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოზე, როგორიც 2001 წლის 9/11-ის ტერაქტია აშშ-ის ქალაქ ნიუ-იორკში. ეს გახლდათ გარკვეულწილად ახალი თავი ტერორიზმის განვითარების ისტორიაში და ფაქტობრივად ამ ტერაქტის შემდეგ ის მოგვევლინა, უკვე ტრანფორმირებული ძველი კლასიკური ტერორიზმიდან ახალ ტერორიზმად, როგორც ასიმეტრიულ სამხედრო საფრთხედ, რომელიც უმალვე იქნა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან აღქმული როგორც, სამხედრო თავდასხმად და ასევე უმალვე მოჰყვა ნატო-ში შემავალი ქვეყნების მყისიერი რეაქცია, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: 2001 წლის 9/11-ის ტერაქტის შემდეგ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ მე-5 მუხლის გამოყენება, რომელიც კოლექტიური თავდაცვის მიზნით სამხედრო ძალების გამოყენებას გულისხმობს. გადაწყვეტილების სისწორეზე და ტერორისტული საფრთხეების მასშტაბების გაზრდის პერსპექტივის გამორიცხვის მიზნით 2003 წელს ქ.ბრიუსელში ევროკავშირი-ც შეუერთდა ერთიანი თავდაცვითი სტრატეგიის დოკუმენტს. უნდა აღინიშნოს, რომ ნატო-სა და ევროკავშირს, ასევე ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები ტერორიზმთან ბრძოლას ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად მიიჩნევენ. ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიცვალა ტერორიზმის გაგება, თუ ადრე მას ებრძოდნენ, როგორც კრიმინალურ დაჯგუფებებს, ახლა მსხვერპლის მასშტაბებიდან გამომდინარე ტერორისტულ

[1] გ. ანთაძე ,,სტრატეგიული კვლევები N2 “ გამომცემლობა ,,საუნივესიტეტო წიგნი“ თბილისი, 2009 წელი, გვ,63.

ქმედებას სამხედრო აგრესიის კლასიფიკაცია მიეცა, რაც მასთან ბრძოლისთვის რადიკალური ზომების გამოყენების საშუალებას იძლევა.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს გამოყენებული გახლდათ ყველა ის მნიშვნელოვანი წყარო, რომელსაც კავშირი აქვს სადიპლომო თემასთან. წყაროების შერჩევისას გამოყენებული იქნა შემდეგი სახის კრიტერიუმები:

- კომპეტენტურობა
- ინფორმატიულობა
- სიღრმისეული ხედვა
- ხედვების მასშტაბურობა
- ადგილობრივი და საერთაშორისო წყაროები

წყაროთა შეფასებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ნაწილი მათგანი მსოფლიოს პოლიტიკური განვითარების ზოგად შეფასებებს მოიცავს, ზოგიერთი კი აღნიშნული თემის კონკრეტულ მიმართულებებს ეხება.

კონკრეტული სალიტერატურო წყაროების მიმოხილვისას შესაძლებელია განვიხილოთ რამდენიემე ასეთი სახის კონკრეტული მასალა, რომელსაც გააჩნია ამ თემატიკასთან უშუალო შეხება:

1. **გ. ანთაძე „სტრატეგიული კვლევები N2“ გამომცემლობა „საუნივესიტეტო წიგნი“ თბილისი, 2009 წელი** - ნაშრომი მთავარ გზამკვლევს წარმოადგენს, იმ პირთათვის ვინც დაინტერესებულია საერთაშორისო უსაფრთხოებით, კერძოთ კი ტერორიზმის კუთხით. ავტორი კომპლექსურად ახდენს ჩამოაყალიბოს ტერორიზმის არსებული დეფინიციები და მოახდინოს მათი დეტალური ანალიზი, მსოფლიოში არსებული სოციალ-პოლიტიკური პროცესების ფონზე. კვლევაში ახსნილია ავტორის მიერ ტერორიზმის ახლებური ხედვა და ტერორის როგორც იდეოლოგიური ომის ფორმა. აღნიშნული საკითხი საკმაოდ ფართოთ არის გაშლილი ტერორისა და პოლიტიკური უსაფრთხოების ფონზე. ავტორი გვთავაზობს ტერორიზმის ახლებური დეფინიციის ასპექტებს და ასკვნის რომ ტერირიზმი უნდა განიხილებოდეს, როგორც იდეოლოგია, რადგან ცალსახად

ნათელია, რომ იდეოლოგიას სამხედრო ძალით ვერ დაუპირისპირდები, არამედ აქ საჭიროა კომპლექსური მიდგომა ყველა იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რასაც გვთავაზობს დღევანდელი მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური ფონი.

2. გ.მაღრაძე, ვ.მაისაია ,,21-საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები", გამომცემლობა, ,,უნივერსალი", თბილისი, 2017- ნაშრომში განხილულია უსაფრთხოების პრობლემები გეოპოლიტიკური ანალიზის კუთხით. მოგეხსენებათ, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ სისტემაში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის მიზნით გეოპოლიტიკური პროცესების შეფასებას და მათ სამხედრო პოლიტიკურ ანალიზს უდიდესი როლი ენიჭება ეს კი დღესდღეობით მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს მსოფლიო პოლიტკური სისტემებისათვის. აქვე მოყვანილია ის მთავარი სექტორები, რომელიბიც დიდ გავლენას ახდენენ გლობალიზაციის პირობებში კაცობრიობის უსაფრთხოებაზე. ავტორების მიერ დეტალურად არის განხილული: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ეკოლოგიური და საინფორმაციო უსაფრთხოება. აქვე განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი პოსტბიპოლარული ეპოქის შემდეგ შეცვლილ საერთაშორისო პოლიტიკას და საერთაშორისო უსაფრთხოებას. მაგალითის სახით ავტორებს მოყვანილი ყავთ ის საერთაშორისო ორგანიზაციები და გაოპოლიტიკური აქტორები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ,,ცივი ომის" პირობებში და ასევე მათი გარდასახვა მოხდა დროთა განმავლობაში, როგორც ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოება" - თეორიიდან პრაქტიკამდე.

3. ნ. ჩიტაძე ,,ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი", გამოიცა პროექტის,,ნატოს სწავლების" ფარგლებში, თბილის, 2008 წელი - ნაშრომი მათავარ გზამკვლევს წარმოადგენ სოციალური მეცნიერებით დაინტერესებულ პირთათვის და ასევე სტუდენტებისათვის. ავტორი ისტორიული ქრონოლოგიის სიზუსტით გვიჩვენებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩამოყალიბების მიზეზებსა და გარემოებებს.

ფაქტების საფუძველზე ხდება ნატო-ს, როგორც მსოფლიოში მშვიდობის გარანტის წარმოჩენა და ნატო-ს შექმნიდან დღემდე განვლილი პერიოდის შედეგად არსებული ტრასფორმაციის მკაფიოდ ჩვენება. ავტორი ნატო-ს განიხილავს გლობალური პოლიტიკის ჭრილში და აქვე გამოყოფს ნატო-საქართველოს ურთიერთთანამშრომლობის და საერთო ინტერესების ფორმატს.

4. Bruce Hoffman „International Politics", What is Terrorism?, Longman, New York, 2007 Year - ავტორი გლობალური სოციალ-პოლიტიკური გამოწვევების ფონზე სვამს კითხვას, თუ რა არის ტერორიზმი და აღნიშნული შეკითხის კონტექსტიდან გამომდინარე თანმიმდევრულად ხსნის ტერირიზმის ფენომენის არსს და მკაფიოდ ასახავს, იმ ახალ გამოწვევებს რის წინაშედაც „ახალი ტერორიზმი" აყენებს მსოფლიოს, ამასთანავე ავტორი გვახსენებს, რომ ტერირიზმის ეს ფენომენი არ გახლავთ სრულიად ახალი რამ, რასაც წარსული მსოფლიო ისტორიული ფაქტებით ამყარებს და მაგალითისთვის რომის ომპერიის წინააღმდეგ წარმოებული პარტიზანული ომები მოჰყავს. ნაშრომში კარგად არის აღნიშნული ის გარემოებანი, რომლებიც აჩვენებს იმ სირთულეებს, რომელიც ახლავს ტერორიზმის ფენომენის დეფინიციის განსაზღვრის დროს. ავტორი ისტორიული კვლევის მეთოდის სიზუსტით ასახავ იმ გარემოებებს, რომლებიც გახლავთ გამომწვევი ტერორიზმის ფენომენისა და ცხადად გვიჩვენებს მის მიზეზ-შდეგობრივ მხარეებს.

5. Bruce Hoffman „Inside Terrorism", Columbia University Press Books, USA, 2006 Year - აღნიშნული ნაშრომი ერთგავარ გზამკვლევს წარმოადგენს და გვიჩვენებს ტერორიზმის ფენომენს ისტორიული განვითარების კონტექსტში. სწორედ ისტორიული ფაქტების საფუძველზე აანალიზებს ავტორი „ახალი მოწინააღმდეგის"- მოტივაციასა და ტაქტიკას, რომელსაც დღესდღეობით იყენებს ტერორისტული ორგანიზაციები გლობალური ტერორიზმის კონტექსტში. ავტორი გამოყოფს 2001 წლის 9/11 ტერაქტს, სადაც ტერორიზმი ახალი სახით მოევლინა გლობალურ სამყაროს და გამოიკვეთა ისეთი მეთოდები, როგორიცაა: განახლება,

რეზონანსულობა, სოციალური მედიის წარმატებით გამოყენება და ღია მხარდაჭერა საზოდადოების სხვადასხვა ფენების მხრიდან. ნაშრომში მკვთრად არის გამოხატული ის შეფასებები, რომის წინაშეც შეიძლება დადგეს მსოფლიო, რაც გამოიხატება: თვითმკვლელი ტერორისტების მიერ მკვეთრი ინტეგრირება გლობალურ მედია სივრცეში, რომლიც ხელს უწყობს ტერორის ფართო მასებში დათესვას და ასევე მაღალი ალბათობით: ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთული იარაღის გაჩენას ტერორისტების ხელში, რასაც რათქმაუნდა სულ სხვა საფეხურზე გადაჰყავს მსოფლიოს უსაფრთხოების სისტების შენარჩუნებისათვის მებრძოლი ქვეყნები, გაერთიანებები, ალიანსები თუ ორგანიზაციები.

6. Matthew J. Morgan ,,The Origins of the New Terrorism “, New York, 2004 Year - ნაშრომში ავტორი ქრონოლოგიურად აღწერს ისეთ საკითხებს, როგორიც ახალი ტერირიზმია, მის გამომწვევ ისტორიულ ფაქტორებს პოლიტიკურ საციალურ ჭრილში და ასევე თანამედროვე ტექნოლოგიურ ფაქტორებს. ავტორი ღიად აფიქსირებს, ყველა იმ მიზეზებს, რომელიც შეიძლება გამომწვევი ყოფილიყო ,,ახალი ტერორიზმის“ ფენომენისა და აფიქსირებს იმ მწვავე შედეგს, რომელიც დღესდღეობით შეიძლება საერთაშორისო უსაფრთხოების შენარჩუნებას ემუქრებოდეს. აქ მკაფიოდ არის გამოყოფილი ის ფაქტი, რომ რადიკალიზმისა და ტექნოლოგიური განვითარების ურთიერთგადაკვეთამ შესაძლოა უაღრესად მძიმე შედეგები მოუტანოს მსოფლიო მშვიდობას.

7. Armin Pfahl - Traughber ,,Der „alte“ und der „neue“ Terrorismus. Das Gefahrenpotential politisch motivierter Gewalt im Vergleich“, Bundesministerium für Inneres – Sicherheitsakademie / Verlag NWV, 2010 Jahr - ავტორი გამოყოფს ,,ძველი“ და ,,ახალი“ ტერორიზმის მახასიათებლებს და ისტორიული ქრონოლოგიით ხსნიას მათ. აქვე გამოყოფს პოლიტიკურად მოტივირებულ საფრთხეების შესაძლებლობებს და ახდეს ტერორიზმის გაშლას პოლიტიკურ საფრთხეს ასიმეტრიული საფრთხეების ჭრილში. ნაშრომში ,,ძველი“ და ,,ახალი“

ტერორიზმი შედარებულია მათი სტრატეგიული მიზნების ტრანსფორმაციაზე დაყრდნობით, როგორც რელიგიურად მოტივირებული, დეცენტრალიზირებული, ტრანსნაციონალური ორგანიზაციების წინააღმდეგ. სწორედ ამ მახასიათებლების ერთობლიობა ქმნის განსაკუთრებული საფრთხეების პოტენციალს. ავტორი გამოყოფს 2001 წლის 9/11 ტერაქტს, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას და მას ,,ახალი ტერორიზმის" ათვლის წერტილად მიიჩნევს, აღნიშნული ტერაქტის ფონზე მკაფიოდ არის ნაჩვენები ,,ძველი" და ,,ახალი" ტერორიზმის ის მახასიათებლები, რომლებიც ერთმანეთში ინტეგრირდა და ახალი ასიამეტრიული საფრთხის სახით ჩამოყალიბდა.

8. S. Goertz ,,Der neue Terrorismus", Springer Fachmedien Wiesbaden GmbH 2018 Jahr - აღნიშნული ნაშრომი ასახავს ახალ ტერორიზმს, როგორც ასიმეტრიული საფრთხის მთავარ გამომწვევ ფაქტორს, ავტორი გამოყოფს იმ ისტორიულ მოვლენებს, რომელიმაც გამოიწვია ტერორიზმის ფენომენის წარმოშობა და თანამედროვეობაში ახდენს ამ ფენომენის ჩვენებას, როგორც ასიმეტიული საფრთხისა შემდეგ განზომილებებში: ასიმეტრიული საფრთხე პოლიტიკურ ჭრილში და სამხედრო ასიმეტრიული საფრთხეები. ასიმეტრიული საფრთხეების ეს ორი ფორმა მნიშვნელოვანია და ამავე დროს თანამედროვე მსოფლიოს უსაფრთხოების შენარჩუნებაში მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ასიმეტრიულ საფრთხეებს პოლიტიკურ ჭრილში ავტორი ასაბუთებს ტერორიზმის იდეოლოგიზირებით, სადაც მთავარ ფაქტორს ,,ტერორი" წარმოადგენს მშვიდობიან მოსახლეობაზე, ეს კი უმალვე აისახება სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, ხოლო რაც შეეხება სამხედრო ასიმეტრიულ საფრთხეებს, ავტორი აქ ცალსახად გვიჩვენებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც განაპირობეს ტაქტიკური მანევრირების ელემენტებისა და სამხედრო ბრძოლის მანებრების ინტეგრირებას ტერორისტების მიერ თავდასხმით თუ თავდაცვით მოქმედებებში. აქ სამხედრო ასიმეტრიული საფრთხე გვევლინება ასიმეტრიული ომის ფორმით, რომელიც უკვე თანამედროვე ომებში საკმაოდ კარგად გამოჩნდა,

სადაც არ არსებობს ერთი გადამწყვეტი ბრძოლა, არამედ მხოლოდ წერტილოვან დარტყმებზე აგებული საბრძოლო სტრატეგიები.

9. Ruprecht Polenz ,, NATO, Terrorismus und eine neue Weltordnung“, Die politische Meinung, Berlin, 2002 Jahr - ავტორი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ მიუხედავად საფრთხეების ხასიათის ცვალებადობისა, რომლის წინაშეც იმყოფებიან ნატო-ს წევრი სახელმწიფოები, ამ საფრთხეებთან გამკლავების მიმართულებით ნატო-ს პოლიტიკა სოლიდარობის საბაზისო პრინციპები, დიალოგი და თანამშრომლობა რჩება ვაშინგტონის ხელშეკრულების პრინციპების მთავარ პრიორიტეტად. როგორც პოლიტიკური და სამხედრო ალიანსი, ნატო ასევე წარმოადგენს საერთო ინტერესთა და ღირებულებათა თანამეგობრობას. აქედან გამომდინარე ყველა ის ნაბიჯი რომელსაც ნატო დგამს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მიღებულია ერთობლივი გადაწყვეტილებების შედეგად, რომლიც ხორციელდება როგორც თეორიული ასევე პრაქტიკულ დონეზე.

კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა ტერორიზმის ახალი ფენომენის იერსახე, რომ მას გააჩნია არა მარტო პოლიტიკური და სოციალური დატვირთვა, არამეც სამხედრო დატვირთვაც და ტერორიზმი შეიძლება გამოყენებულ იქნას სამხედრო საბრძოლო ოპერაციების წარმოებისათვის. აქვე აღნიშვლის ღირსია ის გარემოებაც, რომ თემის საფუძველზე შეიძლება გამოიცეს მონოგრაფია ან სალექციო კურსი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ტერორიზმის სწავლებისათვის, რათა კურსმა განიცადოს მოდერნიზაცია. ასევე ეს თემა საინტერესოა ფართო აუდიტორიისათვის, განსაკუთრებით იმ პირთათავის, რომლებიც მუშაობენ უსაფრთხოების და სამხედრო საკითხების თემატიკაზე.

თავი I

ახალი საფრთხეების მოდელი XXI საუკუნეში: ასიმეტრიული საფრთხეები და ახალი ტერორიზმი

საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკური და სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე ირკვეთება რომ XX-ის ბოლოს და XXI-ის დასაწყისში განსაკუთრებით 2001 წლის 9/11 ტერაქტის, შემდეგ ფაქტობრივად მიუღწეველია ტერორიზმის ერთმნიშვნელოვანი განმარტების ჩამოყალიბება რაც იმაზე მიუთითებს, რომ არ არსებობს ერთი გამოკვეთილი და სამეცნიერო წრეებში აღიარებული ტერორიზმის დეფინიცია. აგრეთვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტერორიზმი არ გახლავთ ,,თანმიმდევრული'' ფენომენი და სწორედ აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტერორიზმი გახლავთ, როგორც სტრატეგიული არჩევანი იმ დაჯგუფებების მიერ, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური თუ სამხედრო ინტერესების გატარებისათვის ისწრაფვიან, ეს უკვე აღარ გახლავთ ტერორიზმი თავისი კლასიკური გაგებით, არამედ ეს არის ასიმეტრიული საფრთხე ახალი ტერორიზმის სახით, რომლშიაც წარმატებით მოხდა სამხედრო ტაქტიკის ინტეგრირება. აქტუალური ანალიზი, რომელიც ჩატარდა ისლამური სახელმწიფოს მაგალითზე გვიჩვენებს, რომ ისლამური სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ იქნა ტაქტიკურ-ოპერატიული ღონისძიებები, ისეთები როგორიც არის: თავდასხმა, თავდაცვა, შეკავება სამხედრო ტიპის გაწვრთნილი დანაყოფების მიერ. ეს კი მიანიშნებ იმ ფაქტს, რომ ისილამური სახელმწიფო, როგორც ,,აქტორი'' ახალი ტერორიზმის, ამავე დროს გახლდათ ,,კვაზი'' სახელმწიფო (მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე) და ამავე დროს არასახელმწიფოებრივი ,,აქტორი'', რომელიც იყო ოპერატიულ-ტაქტიკური სამხედრო ფორმის ბაზაზე არსებული ,,კვაზი'' სახელმწიფო, იყენებდა ახალ ტერორიზმს, როგორც

რეგულარული ბრძოლის იარაღს, შეტევასა და თავდაცვას წმინდა სამხედრო ტაქტიკის ფორმებით.

ახალი ტერორიზმი, როგორც ასიმეტრიული საფრთხე დიდ გამოწვევას წარმოადგენს დემოკრატიული ქვეყნებისათვის, რომელმაც არ იცის საზღვრები, როგორც ნაციონალურ ისე საერთაშორიო სამართლის, მშვიდობისა და ომის, საშინაო და საგარეო მიმართულების პოლიტიკაში. ეს კი იმაზე მიუთითებს რომ ასიმეტრიულმა საფრთხემ, როგორიც ახალი ტერორიზმია, მიაღწია, როგორც ხარისხობრივ ასევე რაოდენობრივი განვითარების გარკვეულ დონეს.[2]

1.1. პოლიტიკური საფრთხეები, გამოწვევების არსი და მათი კლასიფიკაცია

თანამედროვე პოლიტოლოგები პოლიტიკას განსაზღვრავენ, როგორც საქმიანობას საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, რომელიც გამოხატულია სოციალურ ჯგუფებში, ასევე ქცევის მოდელებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრიც ურთიერთობებს და ქმნიან სახელისუფლებო კონტროლს, ასევე, ქმნიან კონკურენციას ძალადობის, ძალით დასაუფლებლად.[3]

დღესდღეობით ასიმეტრიული საფრხეების კერძოდ ახალი ტერორიზმის საშუალებით ტერორისტული ორგანიზაციები და ასევე ის სახელმწიფოები, რომლებიც მფარველობენ ამგვარ დაჯგუფებებს ცდილობენ მიაღწიონ იმ მიზნებს და ამოცანებს, რომლებიც მათ გააჩნიათ და იყენებენ ტერორისზმის იდეოლოგიას, რაც მათ საშუალებას აძლევს გამოიყენონ ტერორი, როგორც მიზნის მიღწევის ინსტრუმენტი. აღნიშნული გზით მიზნის მიღწევა ბევრად ადვილია, რადგან

[2] Bruce Hoffman ,,International Politics", What is Terrorism? , Longman, New York, 2007 Year.

[3] გ. ანთაძე ,,სტრატეგიული კვლევები N2 " გამომცემლობა ,,საუნივესიტეტო წიგნი" თბილისი, 2009 წელი, გვ,73.

სამოქალაქო საზოგადოება განუყოფელი ნაწილია სახელმწიფოების და მათი პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების, ამიტომ სახელმწიფოებრიობის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სეგმენტზე მიმართული ტერორი პირდაპირ მოქმედებს მოქალექეების მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და მათ შორის პოლიტიკაზეც. თუკი ტერორს მივაკუთნებთ იდეოლოგიური ბრძოლის ფორმას მაშინ, ომი თავისთავად პოლიტიკის ინსტრუმენტია და მის ერთ-ერთ ფორმას ,,ტერორსაც'' პოლიტიკური მოტივები უნდა ამოძრავებდეს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ყველა ომის მიზანი პოლიტიკური ხასიათისაა და პოლიტიკური მიზნების მიღწევას ემსახურება, თუ კალუზევიცს დავესესხებით ,,ომი ეს პოლიტიკის გაგრძელებაა სხვა ხერხებით''. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ტერორისტული იდეოლოგია და ტერორიც პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება მაგალითად: ალ-ქაიდას მკვეთრი რელიგიურ-პოლიტიკური შემადგენელი საფუძლები აქვს, მაშინ როცა ჰამასი თუ ჰეზბოლა რელიგიურთან ერთად უფრო ისტორიულ-კულტურული ნიშნით გამოირჩევა, ეს იმაზე მიუთითებს რომ ტერორის გამომწვევი იდეოლოგია შეიძლება განსხვავებული შინაარსის მატარებელი იყოს, რაც დაჯგუფებების დიდი სტრატეგიის დონეს შეესაბამება და ამავე დონეზე ყალიბდება. ნიშანდობლივია ავღნიშნოთ, რომ ტერორიზმი, როგორც იდეოლოგია პოლიტიკური მოტივაციის მქონე მოვლენაა და რელიგიური, სოციალური, კულტურულ-ისტორიული თუ იდეოლოგიური შინაარსი მისი სტრატეგიული შემადგენელი ნაწილია, ხოლო რაც შეეხება ტერორს, მას ტერორიზმი, როგორც იდეოლოგია, საკუთარი მიზნების მისაღწევად მისაღებ ომის ფორმად იყენებს.

ასიმეტრიული საფრთხის მოქმედება სახელმწიფო პოლიტიკაზე ვლიდენა ორი ან მეტი აქტორის დაპირისპირებაში (სახელმწიფოები, ორგანიზაციები, დაჯგუფებები) და სტრუქტურიზირდება ნეორეალიზმის ისეთ აქსიომებში როგორიცაა ,,უნილატერალიზმი'', ,,ჰეგემონია'' და ,,ალიანსური პოლიტიკა'', სადაც ასიმეტრიული საფრთხეების განსაზღვრას მთავარი ადგილი უჭირავს უსაფრთხოების პოლიტიკაში, რომელიც გამოიხატება არათანაბარ ვითარებაში

არსებული ორი ან მეტი აქტორის მოქმედებაში. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ასიმეტრიული პოლიტიკური საფრთხების მთავარ დასაყრდენს სწორედ ეს არათანაბრობა განსაზღვრავს, რომელიც გამოხატულია არათანაბარი საშუალებებისა და რესურსების არსებობაში, სწორედ ეს არათანაბრობა მართავს საერთაშორისო სისტემას. ნეორეალიზმის ,,ძალთა ბალასის'' თეორია, რომელიც საერთაშორისო სისტემის ანარქიულობაზე მიუთითებს, ასევე შეიცავს ასიმეტრიული საფრთხეების არსებობის მკვეთრ ნიშნებს, რაც გამოიხატება სახელმწიფოებისა და არასახელმწიფოებრივ აქტორების არსებობაში, სადაც არსებულ ასიმეტრიულ საფრთხეებს მნიშვნელოვანი როლი უჭირავს მათ მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ დღისწესრიგში. მოგეხსენებათ რომ არათანაბარი აქტორების არსებობა ხელს უწყობს ისეთი ურთიერთობის პოლიტიკის ფენომენის წარმოქმნას როგორიც ,,უსაფრთხოების დილემაა'', სადაც ხდება მზარდი გამალებული შეიარაღებული ბრძოლის განვითარება, რომლის პირობებში ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება მცირდება შეიარაღების გაზრდის ხარჯზე. აქვე უნდა გამოვყოთ ე.წ. ,,პატარა ომების'' არსებობა პოლიტიკური თუ გეპოლიტიკური მიზნებისათვის, რომელიც სწორედ ასიმეტრიული საფრთხეების საფუძველზე გახლავთ წარმოებული და უნდა ავღნიშნოთ, რომ ,,პატარა ომები'' უფრო და უფრო დიდ გავლენას ახდენენ საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაზე.

აღსანისნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფოები ისეთ სტრატეგიას წარმართავენ, როგორიცაა მათ მიერ წარმოებული ძლიერი თუ სუსტი გავლენები მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში, სადაც მათი უსაფრთხოების ინტერესები მაქიმალურად არის დაცული. ,,სუპერ'' და დიდი ძალის მქონე სახელმწიფოები უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, წარმართავენ თავიანთ პოლიტიკას, როგორც ღია ასევე დახურულ ფორმატში, რათა მაქსიმალურად იქნეს მიღწეული პოლიტიკური თუ გეოპოლიტიკური მიზნები.[4]

[4] Bruce Hoffman ,,International Politics'', What is Terrorism? , Longman, New York, 2007 Year.

კარლ-ფონ კლაუზევიცი თავის ნაშრომში ,,ომის შესახებ''[5]. ამბობს, რომ ომის ყველაზე მინიშვნელოვანი ასპექტი მისი ორბუნებოვნებაა - ობიექტური და სუბიექტური დონეების თანაარსებობა. სადაც ობიექტური ნაწილი გულისხმობს ძალადობას, ე.წ. ფრიქციას, შემთხვევითობას და მოულოდნელობას ხოლო სუბიექტური ნაწლი კი აერთიანებს სამხედრო ძალებს, მათ დოქტრინებს, შეიარაღებას, ასევე მთელ იმ (სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო) გარემოს, სადაც აქტანტები მოქმედებენ. კლაუზევიცის აზრით ომის ობიექტური და სუბიექტური მხარეები გამუდმებით ურთიერთქმედებენ და მონაცვლეობის რეჟიმში არსებობენ. ომის ამ ორბუნებოვნებას თუ დავაკვირდებით ასიმეტრიული საფრთხის ჭრილში დავინახავთ, რომ სწორედ ომის ობიექტური ბუნება განსაზღვრავს ასიმეტრიული საფრთხის არსებობას სახელმწიფოთა მიერ მიზანმიმაართული პოლიტიკის გატარების დროს.

თანამედროვე მსოფლიო უკვე იცნობს ასიმეტრიული საფრთხეების მქონე შეიარაღებულ კონფლიქტებს:

- პოლიტიკურ;
- სტრატეგიულ;
- ოპერატიულ-ტექნიკურ;
- სამხედრო-ტაქტიკურ დონეზე;

ასეთი დაყოფა შესაძლებელს ხდის დავინახოთ არა მხოლოდ მათ შორის არსებული განსხვავებანი, არამედ ნათლად მოხდეს დადგენა თუ რა იწვევს სიმეტრიული თუ ასიმეტრიული საფრთხეების წარმოქმნას აღნიშნულ დონეებზე. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ ასიმეტრიული საფრთხე გახლავთ, როგორც სახელმწიფოთა შორის, ასევე სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.[6]

---

[5] გ. ანთაძე ,,სტრატეგიული კვლევები N2 '' გამომცემლობა ,,საუნივესიტეტო წიგნი'' თბილისი, 2009 წელი, გვ,64.

[6] Felix Wassermann ,,Asymmetrische Kriege: Eine politiktheoretische Untersuchung zur Kriegführung im 21. Jahrhundert'', Frankfurt/New York , Humboldt-Universität zu Berlin, 2014 Jahr.

- **ასიმეტრიული საფრთხე პოლიტიკურ დონეზე** უმეტესად მიმართულია მმართველი რეჟიმების მიმართ, რომელსაც მოწინააღმდეგედ ჰყავს ერთი ან რამდენიმე არაკანონიერი დაჯგუფებები ,,აქტორები''. თუ გავიხსენებთ 2001 წლის 9/11-ის ტერაქტს აუცილებელია ავღნიშნოთ, რომ ალ-ქაიდა როგორც არასახელმწიფოებრივი აქტორი ჩაერთო ბრძოლაში, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვის მიზნით გამოაცხადა გლობალურმა მსოფლიომ. სწორედ აღნიშნული კონფლიქტის საუძველზე მოხდა ალ- ქაიდას, როგორც მხარედ ანუ ,,აქტორად'' წარმოჩენა, რასაც ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ერთი არასახელმწიფოებრივი აქტორის წინააღმდეგ დადგა სახელმწიფოთა ჯგუფი და რაც საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ ალ-ქაიდას მიენიჭა ერთგვარი მოწინააღმდეგე აქტორის პოზიცია და გახდა ,,ლეგიტიმური'' მოწინააღმდეგე ტერორიზმთან მებრძოლ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.
- **ასიმეტრიული საფრთხე სტარატეგიულ დონეზე** წარმოებს სახელმწიფოსა და არაკანონიერ დაჯგუფებებს შორის, რომელიც მიმართულია შიდასახელმწიფოებრივ არეულობისაკენ, სადაც ამბოხებულები უმეტესად მიმართავენ: სწრაფ, ინტენსიურ და გადამწყვეტ შეტევებს, რომელიც შემოიფარგლება ე.წ. ,,პატარა ომის''(ასიმეტრიული ომი) გამოყენებით. მათ მთავარ მიზანს კი სახელმწოფოს პოლიტიკური ინსტიტუტების რღვევა წარმოადგენს. ხდება ასევე საზოგადოების მანიპულირება, როგორც ეთნიკური ასევე რელიგიური კუთხით, რაც საბოლოოდ გამანარგურებლად მოქმედებს სახელმწიფოებრივ თვითშეგნებაზე. ასიმეტრიული საფრთხეების ამ ფორმებს და მათ შედეგებს თანამედროვე მსოფლიო კარგად იცნობს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებიდან.
- **ასიმეტრიული საფრთხე ოპერატიულ-ტაქტიკურ დონეზე** კარგად ვლინდება არათანაბარი ძალის მქონე ორი ან ორზე მეტი აქტორის დაპირისპირების დროს, ეს გამოიხატება არათანაბარ შესაძლებლობებსა და რესურსებში, განსაკუთრებით კი საბრძოლო საშუალებებში, (მაგ: საჰაერო ძალებში, ახალი თაობის იარაღში და ა.შ.)

მაგრამ მიუხედავად ასეთი არათანაბარი მდგომარეობისა ასიმეტრიულ-ტაქტიკურ დონეზე, დაპირისპირებული მხარის მთავარ მიზანს წარმოადგენ მოწინააღმდეგის შედარებით სუსტი ადგილის/მხარის აღმოჩენა და მისი მაქიმალურად, შდეგიდანად გამოყენება (,,დავითისა და გოლიათი ფენომენი‘‘).

- **ასიმეტრიული საფრთხე სამხედრო-ტაქტიკურ დონეზე** უმეტესად მიმართულია ოპერატიული მიზნის დასახვაზე და მის მიღწევაზე, სადაც შეტაკებებს ხისტი ხასიათი აქვს და უმეტესწილად საბოლოო შედეგზეა ორიენტირებული. თუმცა უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი, რომ არაკანონიერი დაჯგუფებები და ტერორისტული ორგანიზაციები სამხედრო-ტაქტიკურ დონეზეც საკმაოდ მოქნილი მოქმედებებით გამოირჩევიან, რაც სამხედრო ასიმეტრიული საფრთხის მთავარ საფუძველს წარმოადგენს.

ზემოთ ჩამოთვლილი ასიმეტრიული საფრთხეების მთავარ მამოძრავებელ ღერძს: პოლიტიკური, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორები წამოადგენს, რომლლებიც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშურებული და ხშირად გადაიზრდება ისეთ ფორმებში, როგორიცაა: რადიკალიზმი, ექსტრემიზმი, ფანატიზმი და ფუნდამენტალიზმი.

დასკვნის სახით შგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკური საფრთხეების შექმნა, როგორც ტერორის, ისეთივე ომის ფორაა, როგორც ზოგადად ის, რომ ,,ომი‘‘ პოლიტიკის ინსტრუმენტია და პოლიტიკური მიზნების განხორციელებას ემსახურება.

1.2. სამხედრო ასიმეტრიული საფრთხეები თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში

2001 წლის 9/11ტერაქტის შემდეგ ტერორიზმმა, როგორ უსაფრთხოების საფრთხის შემქმნელმა ფენომენმა უმთავრესი ადგილი დაიკავა მსოფლიოს ლიდერი ქვეყნების დღისწესრიში და უფრო და უფრო წამოიჭრა თემა ისეთ

საკითხებზე, როგორიც ,,ძველი'' და ,,ახალი'' ტერორიზმია.[7] და მართლაც, რა აქვთ მათ საერთო და რა განასხვავებთ მათ ერთმანეთისგან? არის თუ არა ეს რელიგიურად მოტივირებული და არასტრატეგიული, თუ პირიქით სტატეგიულად მართული ტრანსატლანტიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ? მიუხედავად აქ დასმული კითხვებისა მსოფლიო დღეს თანხმდება, რომ ტერორიზმი თავისი კლასიკური ,,ძველი'' და არაკლასიკური ,,ახალი'' გაგებით ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოს გავითარებული ქვეყნებისათვის.

კლასიკური ტერირიზმის მყარ მამოძრავებელ ძალად ვხვდებით ისეთ ფაქტორებს, როგორიც გახლავთ: ფუნდამენტალიზმი, რადიკალიზმი, ექსტრემიზმი და ფანატიზმი. დღეს კი უკვე XXI საუკუნეში ,,ახალი" ტერორიზმის სახით ჩვენ ვხვდებით სამხედრო-ტაქტიკურ დონეზე მოქმედ დაჯგუფებებს, რომელთაც შესწევთ სწრაფი და მოქნილი წინააღმდეგომის გაწევა მოწინააღმდეგე მხარის მიმართ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ტერორიზმი, როგორც ასიმეტრიული საფრთხე ტრასფორმირდა სამხედრო სტრატეგიულ დონეზე, რაც გამყარებული გახლავთ სამხედრო ბრძოლის ელემენტების ჩართულობით ტერორისტული აქტების დაგეგმვის დროს, რომელიც გარკვეულწილად შეიცავს ომის ელემენტებს. დღესდღეობით სამეცნიერო წრეებში ფართოთ განიხილება ე.წ. ,,პატარა ომის"(ასიმეტრიული ომის) ფენომენი და თუ კარგად დავაკვირდებით რთული არ იქნება იმის შემჩნევა, რომ სამხედრო ასიმეტრიული საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით წარმოებული ე.წ. ,,პატარა ომები" ტერორისტული ორგანიზაციების ჩართულობით XXI საუკუნის მთავარ გეოპოლიტიკურ გამოწვევას წარმოადგენს და ორმაგი საფრთხის წინაშე აყენებს მსოფლიოს: ერთის მხრივ აქ საქმე გვაქვს იდეოლოგიურად და სტრატეგიულად მობილიზებულ ტერორისტულ დაჯგუფებებთან ან თვითაღიარებულ ტერორისტულ ,,სახელმწიფოებთან" (ე.წ. ,,ისლამური სახელმწიფო") და მეორეს მხრივ კი სახეზეა სამხედრო-ტაქტიკური

[7] Armin Pfahl- Traughber ,,Der „alte" und der „neue" Terrorismus. Das Gefahrenpotential politisch motivierter Gewalt im Vergleich", Bundesministerium für Inneres – Sicherheitsakademie / Verlag NWV, 2010 Jahr.

ბრძოლის ფენომენის ჩანაცვლება, ოპერატიულ-ტაქტიკური დონის ფენომენით, რაც მოიცავს: სწრაფ, ინტენსიურ და მოულოდნელი შეტევების დომინირებას. აქ აშკარდ იკვეთება ის მრავალმხრივი ტრანსფორმაცია რაც განიცადა ,,ძველმა" კლასიკურმა ტერორიზმმა სამხედრო-ტაქტიკური ელემენტების ჩართულობით, რამაც ფაქტობრივად გამოიწვია ომის ელემენტების წარმოქმნა დაპირისპირებულ მხარეებს შორის. ასეთ ტრანსფორმაციას მვიყავართ იმ ეტაპამდე, რასაც ჰქვია ,,ძველი ომის" გარდაქმნა ,,ახალი ტიპის ომის" ეტაპზე სადაც განსხვავებულია, როგორც მოქმედი აქტანტები, ასევე განსხვავებულია მათი მიზნებიც:

,,ძველი ომი"

- **აქტანტები:** სახელმწიფოები, სახელმწიფოს მებრძოლები.
- **მიზნები:** გეოპოლიტიკა და იდეოლოგიური მიზნები.

,,ახალი ომი"

- **აქტანტები:** რეგულარული ძალები ან მათი ნაწილები, შეიარაღებული დაჯგუფებები, უცხო დაქირავებული მებრძოლები.
- **მიზნები:** პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, სასურველი ძალაუფლების დამყარება, ბრძოლა გადარჩენისათვის.[8]

თანამედროვე გლობალურ სამყაროში ასიმეტრიულ საფრთხეებს მკვეთრი რყევების გამოწვევა შეუძლია, რომელიც უარყოფითად აისახება და საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ინტერესებსა და საერთაშორისო უსაფრთხოებას. ასიმეტრიული საფრთხე წმინდა სამხედრო საფრთხის ჭრილში საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის ქვყანას, როგორც შიდა თუ გარე პოლიტიკის წარმართვაში, რადგან ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე წარმოადგენს მჭიდროდ კომბინირებულ ფენომენს ტერორიზმისა, რომელიც მასობრივ მკვლელობებზეა მიმართული და იყენებს სამხედრო ტაქტიკურ მიდგომებს, რომელიც მიზნის ზუსტი შესრულების სტრატეგიით გამოირჩევა. უნდა ავღნიშნოთ ის გარემოება, რომ დღეს

[8] Armin Pfahl- Traughber ,,Der „alte" und der „neue" Terrorismus. Das Gefahrenpotential politisch motivierter Gewalt im Vergleich", Bundesministerium für Inneres – Sicherheitsakademie / Verlag NWV, 2010 Jahr.

ცივილიზებული სამყარო დგას, როგორც ეკონომიკური, სამხედრო, ტერორისტული და კრიმინალური საფრთხეების წინაშე და სწორედ აღნიშნული საფრთხეების აღმოფხვრის შედეგად მიიღწევა უსაფრთხოების ის დონე, რომელზედაც დემოკრატიული ქვეყნები შეძლებენ, დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას და განვითარებას.

ასიმეტრიულ სამხედრო საფრთხედ შეგვიძლია განვიხილოთ ისრაელის ბრძოლა ,,ჰეზბოლას" წინააღმდეგ, რომელიც გახლდათ შეიარაღებული კონფლიქტი სახელმწიფოსა და არასახელმწიფოებრივ აქტორს შორის, სადაც თავად ლიბანის მოსახლეობაც იყო ჩართული, მიუხედავად იმისა რომ აღნიშნულ ომს მშვიდობიანი მოსასახლეობა შეეწირა. საერთაშორისო სასამართლომ ,,ჰეზბოლა" ომის დამნაშავედ სცნო, რადგან მათ მიერ გამოყენებულ სამხედრო შეიარაღებას და მძიმე საბრძოლო ტექნიკას მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი განადგურება მოჰყვა. აღნიშნული ომის მაგალითი ნათლად გვიჩვენებს ასიმეტრიული საფრთხეების შესაძლო სიძლიერეს და ამ საფრთხეების თავიდან ვერ აცილების შემთხვევაში შედეგების მკაფიო სურათს. ასევე არ უნდა დავივიწყოტ ის ფაქტი, რომ არსებობს სახელმწიფოები, რომლებიც მიზანმიმართულად ეხმარებიან: ამბოხებულებს, ტერორისტულ ორგანიზაციებს და თვითგამოცხადებულ სახელმწიფობს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ,,ჰეზბოლას" მთავარ დამხმარეს ირანი წარმოადგენდა.

ასიმეტრიული სამხედრო საფრთხის, როგორც ასიმეტრიული ომის უკეთ შესწავლისათვის აუცილებელია გავიგოთ თუ რა ფაქტორებმა განაპირობა იმ შედეგების გამოწვევა, რომელიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებას. ომისა და სტრატეგიული კვლევების დისკუსიებში, კერძოდ ,,მომავლის" უსაფრთხოების შენარჩუნებაში ასიმეტრიულ ომს ცენტრალური ადგილი უჭირავს, რადგან სწორედ ასიმეტრიული ომი წარმოადგენს XXI საუკუნის მნიშვნელოვან გამოწვევას, რადგან ასიმეტრიული ომი თავისთავშივე აერთიანებს საფრთხეების ისეთ ფორმებს როგორიც: ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე და ახალი

ტერორიზმია. თუ ასიმეტრიულ ომს განვიხილავთ იმ პერსპექტივიდან, რაც გამომიდინარეობდა XX საუკინის ისტორიული ფაქტებიდან განსაკუთრებით კი სიმეტრიული წესრიგის რღვევის შედეგად, მეტი აქტორების გაჩენამ პოლიტიკურ რუკაზე, ინტერნაციონალური და ტრანსნაციონალური უსაფრთხოების შემქმნელი აქტორების ჩამოყალიბებამ, ასევე პოლიტიკურ-სტრატეგიული აქტორების გაერთიანებამ გლობალური უსაფრთხოებისათვის და ომის კომპლექსურობამ, რომელშიც მონაწილეობენ რეგიონალური სახელმწიფო ჯარები, ასევე პარტიზანული დაჯგუფებები, ტერორისტული ორგანიზაციები, მეკობრეები და დაქირავებული დაჯგუფებები. გადამწყვეტი გაქტორი აიმეტრიული სამხედრო საფრთხისა და ასიმეტრიული ომის გახლავთ, მისი სოციალიზაციის ის ფორმა, სადაც არ არსებობს რაიმე რეგულირების მექნიზმი და მისთვის დამახასიათებელ ფორმას არაპირდაპირი, არარეგულირებადი და არატრადიციული სტრატეგია წარმოადგენს, რომელიც საშუალებას აძლევს ასიმეტრიულ სამხედრო საფრთხეს, როგორც ასიმეტრიულ ომს ან ასიმეტრიულ კონფლიქტებს დაპირისპირების ან საფრთხის არსებობის პერიოდში არ გამოიკვეთოს ძლიერი მხარე/აქტორი, რადგან ასიმეტრიული ბრძოლის სტრატეგია თავისთავშივე გამორიცხავს ომის სიმეტრიულობას, რომელშიაც მკვეთრად იკვეთება ერთი ძლიერი აქტორი მაგ: ,,ცივი ომის“ პერიოდი.

თანამედროვე სამყაროში ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე და მისი გამომწვევი მიზეზები მიიჩნევა თანამედროვე უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის მთავარ გამოწვევად. საფრთხეების გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს პოლიტიკური ძალის მქონე საზოგადოება და მათი რეგულარული ჯარები, რომლები გაბნეულია სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში, სადაც საკუთარი სამართლებრივ-ნორმატიული სტრატეგიები გააჩნიათ და გარკვეულწილად საფრთეს უქმნის მის განვითარებას. აქ კი მკვეთრად იკვეთბა ის გარემოება, რომ შეიძლება ესა თუ ის ქვეყანა ნებით თუ უნებლიეთ ჩართული იქნას ასიმეტრიული სამხედრო საფრთხის

და ასიმეტრული ომის აქტორებად.[9] საფრთხეების გამომწვევი მიზეზების საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ასიმეტრიული სამხედრო საფრთხის, როგოც ასიმეტრიული ომის შემდეგი მახასიათებლები:

- ომის ,,პრივატიზირება" არასახლმწიფოებრივი აქტორების მიერ (მაგ: დაქირავებული ჯარები, ტერორისტული ორგანიზაციები, მეკობრეები, პარტიზანული დაჯგიფვებები).
- ომის არასიმეტრიულობა აქტორებს შორის ტექნიკური და ფინანსური საშუალებების.
- მაღალი დონის ოპერაციების წარმართვა მოწინააღმდეგე აქტორების მხრიდან, განსაკუთრებით კარგად გაწვრთნილი დაქირავებული რაზმების თუ დაჯგუფებების მიერ, რომლებიც მოტივირებულნი არიან მაქსიმალურად მოკლე დროში შედეგების მიღწევაზე.
- უსამართლო ომი, რომელიც მიმართულია უშუალოდ მშვიდობიან მოქალაქეების მთავარი უფლების ,,სიცოცხლის" უფლების წინააღმდეგ.
- დამახასიათებელია: ჩრდილოვანი ეკონომიკა, ფარული თუ ღია სახელმწიფო მფარველები, იარაღით, ნარკოტიკით და ენერგო რესურსებით ვაჭრობა.
- დამახასიათებელია: თვითმკვლელი მებრძოლები და არასრულწლოვანთა საბრძოლო რაზმები.
- სოციალური მედიის წარმატებით გამოყენება (მაგ: ვიდეო შეტყობინებების გაგზავნა და ,,ტერორის" დათესვა მშვიდობიან მოსახლეობაში).

ზემოთ აღნიშნული მახასიათებლების საფუძველზე მნიშვნელოვანია განვიხილოთ იმ აქტორთა ტიპები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეების შექმნაში ან წინააღმდეგობას უწევენ საფრთხეების შექმნას. აქ გამოიყოფა სამი ტიპის სახელმწიფოები:

I. პოსტთანამედროვე სახელმწიფოები, რომლებსაც ახასიათებს სუვერენიტეტის გაგება მულტინაციონალურ ჭრილში, მაგ: ევროკავშირის ქვეყნები.

[9] Aus Politik und Zeitgeschichte, ,,Terrorismus", Berlin, 2016 Jahr.

II. თანამედროვე სახემლმწიფოები, რომლებიც მყარად ინარჩუნებენ თავიანთ სუვერენიტეტს, მაგ: აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ბრაზილია ა.შ.

III. პრეთანამედროვე სახელმწიფოები, რომლებსაც დამარცხების ან ინტერვენციის საფუძველზე დაკარგული აქვთ თავიანთი სუვერებიტეტი, მაგ: ახლო აღმოსავლეთი, ცენტრალური აზია, სამხ.აფრიკის ქვეყნები.

აქვე უნდა ავღნიშნოთ ასევე, თუ რა სახით ახდენს ჩარევას სახელმწიფოებრივი თუ არასახელმწიფოებრივი აქტორები ასიმეტრიული სამხედრო საფრთხის, ასიმეტრიული ომი/კონფლიქტის წარმოებისას. სახელმწიფო აქტორები იყენებენ: სახელმწიფო ჯარებს, პოლიციას, საიდუმლო სადაზვერვო სამსახურებს, ინტერნაციონალურ სამხედრო ჯარებს, (მაგ: გაერო, ნატო, აშშ, რუსეთი). არასახელმწიფოებრივი აქტორები იყენებენ: სეპარატისტულ დაჯგუფებებს, ტერორისტულ ორგანიზაციებს, მეკობრეებს, დაქირავებულ მებრძოლ რაზმებს. როგორც, დავინახეთ არსებობს ასიმეტრიული საფრთხის გამომწვევი მიზეზები, მისი მახასიათებლები და აგრეთვე მასში მოქმედი აქტორების სხვადასხვა ტიპები. სწორედ აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს მხოლოდ საფრთხის გამომწვევი მიზეზები და ფაქტობრივად არ არსებობს საფრთხის აღმოფხვრის არა თუ უმოკლესი, არამედ არც მისი ეფექტურად აღმოფხვდის გზები. თუ კლასიკურ ასიმეტრიულ ომში კლაუზევიცის მიხედვით ომი არის ,,საშუალება“ და მიზანი მიიღწევა ომის საშუალებით, აქ ასიმეტრიული სამხედრო საფრთხის შემცველი ,,ტერორი“ ომის სახით გვევილინება.

ერთიანდება თუ არა ახალი ტერორიზმი, ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე და ასიმეტრიული ომის ფორმები ერთ ასიმეტრიული ომის ფენომენში?! ამ კითხვაზე პასუხი ცალსახაა, სამივე ეს ფორმა ერთმანეთის სინთეზს წარმოადგენს და ერთმნიშვნელოვნად ერთიანდება ასიმეტრიული ომის ფენომენის სახით.

ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე, როგორც ასიმეტრული ომი შგვიძლია განვიხილოთ ისლამური სახელმწიფოს (IS) წინააღმდეგ გამართული კამპანიის ფარგელებში. ისლამური სახელმწიფო ასიმეტრიულ სამხედრო საფრთხეებს

ქმნიდა არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალზე, არამედ ევროპისა და აშშ-ის ქალაქებშიც, რადგან ტერორისტულმა ორგანიზაციებმა და ასევე ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა წარმატებით აითვისეს ასიმეტრიული ომის თავისებურებანი, რაშიდაც მინიშვნელოვან რომლს თამაშობს არაცენტრალიზებული ჯიჰადის კონცეფცია, რომლიც ითვალისწინებს ტერორისტული აქტების მოწყობას სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ, რომლის წინასწარ განსჭვრეტა რთულია (ამაზე მეტყველებს ტერორისტული აქტების მზარდი ხასიათი) და მაქსიმალური მასშტაბურობით გამოირჩევა. უნდა ავღნიშნოთ, რომ ერთიანი მუსლიმანური სახელმწიფოს შექმნის მიზანი, როგორც სულიერებისათვის მებრძოლის როლის მსოფლიოში, გახლავთ საუკუნეების წინანდელი და დღესაც აქტუალურ მისწრაფებაად რჩება ჯიჰადისტებისათვის. ისლამური სახელმწიფოს მეთაურმა აბუ ბაქრ ალ-ბაგდადმა ისლამური სახელმწიფოს ,,შექმნით" და კონკრეტული შედეგის მიღებით, ნიადაგი მოუმაზადა ამ უტოპიური მისწრაფებისაკენ მიმავალ გზას. აქ გარკვეული სტრატეგიული მდგომარეობისთვის ტერორისტულ ორგანიზაციებს ჰქონდათ ორი მნიშვნელოვანი დასაყრდენი: ერთი ის, რომ ისლამურ სახელმწიფოს ჰქონდა ზუსტი რეგიონალური მიმართება და იდგა ტერიტორიული არსებობის საჭიროების წინაშე, რადგან ხალიფატი გახლდათ სახელმწიფო და სახელმწიფოს სჭირდება ტერიტორია, რომელიც გადიოდა ყველა მუსლიმანის დეფაქტო სახელმწიფო ირანისა და სირიის სივრცეში. მეორე დასაყრდენი კი გახლდათ საბრძოლო ადგილი, რომელიც როგორც ბრძოლოს ველს, ასევე ისლამური სახელმწიფოს აქტუალურ ტერიტორიას წარმოადგენდა და კარგად გათვლილი ასიმეტრიული ომის სტრატეგიის საფუძველზე შესძლო სირიის დიდი ქალაქების აღება და დამორჩილება გარკვეული დროის მანძილზე. ახალი ტერორიზმი, როგორც ერთ-ერთ ფორმა ასიმეტრიული ომის კარგად გამოჩნდა ისლამური სახელმწიფოს მაგალითზე, ბრძოლის წინააღმდეგობრივი ხასიათიდან გამომდინარე, აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ომის ასიმეტრიულობა ანუ დაპირისპირებულ

აქტანტების ბრძოლის საშუალებები და შესაძლებლობა მკაფიოდ იყო გამოხატული და თუ ერთ მხარეს იდგა ისლამური სახელწიფოს ხმელეთზე მებრძოლი სეპარატისტული თუ ტერორისტული დაჯგუფებები, მეორე მხარეს გახლავთ აქტანტების ის კატეგორია, რომელიც არა ხმელეზე არამედ საჰაერო სამხედრო ბრძოლის ტაქტიკას მიმართავს, რაც მათ ძლიერ საშუალებებსა და შესაძლებლობებზე მიუთითებს. მიუხედავად ასეთი დიდი სხვაობისა ასიმეტრიული ომის სტრატეგიის მთავარ საყრდენს მისი ოპერატიულ-ტაქტიკურ დონეზე შემუშავებული სტრატეგია განსაზღვრავს, რომელიც გულისხმობს მოწინააღმდეგის შედარებით სუსტი ადგილის/მხარის აღმოჩენას და მის მაქიმალურად, შდეგიდანად გამოყენებას (,,დავითისა და გოლიათი ფენომენი''). აქედან გამომდინარე შგვიძლია ვთქვათ, რომ ასიმეტრიული ბრძოლის სტრატეგიის შემუშავებაზეა დამოკიდებული ომის ხანგრძლივობა.

უკვე 18 წელი გავიდა, მსოფლიოს ყველაზე მასშტაბური ტერორისტული აქტის 2001წლის 9/11 ტერაქტის შემდეგ. სწორედ აღნიშნული ტერაქტი გახლდათ საფუძველი სახელმწიფოთა მიერ ასიმეტრიული საფრთხეების აღმოჩენისა, რასაც მკვეთრად გამოხატული ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეები გააჩნდა, რომელიც პირველ რიგში ,,ახალი ტერორიზმის" სახით მოგვევლინა. აღნიშნულ საფრთხეებს მსოფლიოს სახელმწიფოებმა საერთაშორიო ტერორიზმის წინააღმდეგ ომის გამოცხადებით უპასუხა, რომელიც ითვალისწინებდა მძიმე სამხედრო ძალების ჩართულობას, მათი განადგურების მიზნით.

ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე, როგორც ასიმეტრიული ომი ეწინააღმდეგება იმ უმნიშვნელოვანეს ღირებულებებს, როგორიცაა სუვერენიტეტის დაცვა და ადამიანის სყოველთაოდ უფლებები, ეს კი წინააღმდეგობაში მოდის გაერთიანებული ერების (გაეროს) წესდების ქარტის - I თავის 1, 2, მუხლებთან[10] და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 1, 2, მუხლებთან.[11]

[10]http://www.ungeorgia.ge/geo/პუბლიკაციები/გლობალური_პუბლიკაციები?info_id=1#.WyZQcpj4nIW
[11]http://www.ungeorgia.ge/geo/პუბლიკაციები/გლობალური_პუბლიკაციები?info_id=70#.WyZQkpj4nIW

უკვე ფაქტია, რომ ახალი ტერორიზმი, როგორც ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე და ასიმეტრიული ომი დროში მიმდინარე პროცესია და კლასიკური, სიმეტრიული საფრთხეების მსგავსად აღკვეთას არ ექვემდებარება და მუდმივი ბრძოლის რეჟიმში მიმდინარეობს.

თავი II

ნატოს სტრატეგიული მიდგომები პოსტ ბიპოლარულ ეპოქაში, ახალი გეოსტრატეგია ახალი მსოფლიოსათვის

XXI საუკუნეში უსაფრთხოების ცნება არ მოიცავს, ცალკეული ქვეყნების საზღვრებს, რადგან უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, მხოლოდ რეგიონალური და თანამეგობრობის გზით არის შესაძლებელი. საერთაშორისო სისტემა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა, თითქმის მთლიანად შეიცვალა, რაც გამოწვეულია ახალი დიდი სახელმწიფოების წარმოქმნით და ეკონომიკური გლობალიზაციით. დღეს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში გლობალური მრავალპოლუსიანი სისტემა არსებობს, რომელშიც განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო ძლიერების აღქმის კრიტერიუმები თანდათან ცვალებადი ხდება, სწორედ ამიტომ სახელმწიფოების სურვილი გააკანტროლოს ესა თუ ის სივრცე განაპირობებს მსოფლიოში ერთგვარ წონასწორობას.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კაპიტალისტურ და სოციალისტურ სამყაროს შორის ვითარება მნიშვნელოვნად დაიძაბა. ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე დომინირება წარმოადგენდა. ორთავე სახელმწიფო ქმნიდა ხელსაყრელ ვითარებას დაქვემდებარებულ ქვეყანაში სასურველი ხელისუფლების მოყვანისა და შენარჩუნების კუთხით. საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა დაძაბულობით გამოირჩეოდა და იქმნებოდა პირისპირ საბრძოლო მოქმედებების ინსპირირების საფრთხე. სწორედ ამ ფონზე კომუნიზმის გავრცელების საფრთხის ე.ი. საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური ინტერესების საწინააღმდეგოდ 1949 წელს შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია „ნატო“ (North Atlantic Treaty Organisation, NATO). ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ფუნდამენტური მიზანია მისი წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და თავისუფლების დაცვა პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით. ნატო აერთიანებს 29 წევს სახელმწიფოს ევროპიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდან და ახორციელებს კონსულტაციებს წევრ ქვეყნებს შორის

და თანამშრომლობს თვდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, რითაც ის უზრუნველყოფს ტრანსატლანტიკური კავშირის პოლიტიკური და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ნატოს შექმნიდან განვლილ პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა, ალიანსი რჩება სტაბილურობის არსებით და უნიკალურ წყაროდ არაპროგნოზირებადი გეოპოლიტიკური გარემოს პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ იცვლება იმ საფრთხეების ხასიათი, რომლის წინაშეც იმყოფებიან ნატოს წევრი სახელმწიფოები, ამ საფრთხეებთან გამკლავების მიმართულებთ ნატოს პოლიტიკა, სოლიდარობის საბაზისო პრინციპები, დიალოგი და თანამშრომლობა რჩება ვაშინგტონის ხელშეკრულების პრინციპების მთავარ პრიორიტეტად. როგორც პოლიტიკური სამხედრო ალიანსი, ნატო ასევე წარმოადგენ საერთო ინტერესთა და ღირებულებათა თანამეგობრობას. ნატოს წევრი სახელმწიფოები უფრო დაცულნი არიან და ალიანსი უფრო ეფექტურია, იმიტომ, რომ წევრები ერთმანეთს უზიარებენ სხვადასხვა პოზიციებს, აქედან გამომდინარე, მათ გააჩნიათ თანმხვედრი პრინციპები და მოქმედებენ ერთობლივად.

2.1. ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოება და პოსტბიპოლარული სამხედრო კონფლიქტები

,,როდესაც მე მივიღე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის თანამდებობა, მე არ მქონდა საშუალება შევხვედროდი ჩვენს შტაბ-ბინაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ელჩებსაც კი. ჩვენი სახელმწიფოები ერთმანეთის მოწინააღმდეგეებს წარმოადგენდნენ, იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ხალხები არ გრძნობდნენ ამ მტრობის არსებობას. სამწლინახევრის შემდეგ, ჩვენ აქ ვსხედვართ ერთ მაგიდასთან ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს პირველ სხდომაზე. ჩვენ

გახლავართ მოწმეები იმ უნიკალური ისტორიული მომენტისა, თუ როგორ შეიცვალა ვითარება ამ მცირე ხნის განმავლობაში. ამ მოვლენას გააჩნია არა მხოლოდ დიდი სიმბოლური, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა. ევროპა არ იქნება ისეთი, როგორიც ის გახლდათ ჩვენს შეხვედრამდე."[12]

პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის ახალმა ფორმებმა ევროპაში მოითხოვა მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა და რეგიონალური დაძაბულობის შემცირება. ამის გამო ნატო-მ ყოფილ მოწინააღმდეგეებთნ თანამშრომლობის გზით ჩამოაყალიბა ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების თანამშრომლობის ახალი მექანიზმები. მან ასევე განახორციელა მთავარი შიდა რეფორმები საკუთარი სახედრო სტრუქტურების და რესურსების ახალ ამოცანებთან თანხვედრის მიზნით. კოლექტიურ თავდაცვასთან დაკავშირებულ ტრადიციულ ამოცანებთან ერთად ალიანსი მალე ჩაერთო კრიზისების დარეგულირებაში. ასევე კონკრეტულ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან პარტნიორობის საქმეში, რომელიც მიზნად ისახავდა თანამშრომლობას უსაფრთხოების ფართო სფეროში. ნატო-მ სწრაფად სწრაფად მოახდინა ადაპტირება ცივი ომის შემდგომ არსებულ უსაფრთხოების გარემოში. რამდენიმე წელიწადში მან განსაზღვრა თავისი ახალი ადგილი ნატოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ წარმართულ ოპერაციებში. სწორედ ნატოს მიერ ამ ოპერაციებში ჩართულობამ მოკავშირე ქვეყნებს ასწავლა, რომ მხოლოდ სამხედრო საშუალებები არ არის საკმარისი კრიზისებისა და კონფლიქტების მოსაგვარებლად. ტრანსატლანტიკური ალიანსი ხელს უწყობს კრიზისების დარეგულირების ყოვლისმომცნელი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მეთოდების, მათ შორის სტაბილიზაციისა და რეკონსტრუქციისაკენ მიმართული ძალისხმევის განვითარებას. ამის განხორციელება კი ხდება მონაწილეთა რაოდენობის გაზრდით, მათ შორის თანამშრომლობით ისეთ არასამთავრობო და

[12] მანფრედ ვერნერი, ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი, 21 დეკემბერი, 1991 წელი.

საერთაშორისო ორგანიზაციენთან, როგორებიცაა გაერთანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის კავშირი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია.

თანამედროვე პერიოდში ნატო-ს ჩართულობა მოხდა სამხედრო კონფლიქტებში, კრიზისების დარეგულირებისა და მშვიდობის მხარდამჭერი მისიით, კერძოდ: მშვიდობის მხარდაჭერა ავღანეთში, ბალკანეთსა და ლიბიაში; ანტიტერორისტული ოპერაციები ხმელთაშუა ზღვის რეგიონში; ადენი ყურეში მეკობრეებთან ბრძოლის ოპერაციები; მხარდამჭერი მისია ერაყში და აფრიკის კავშირის მხარდაჭერის მისია.

აქვე საინტერესოა განვიხილოთ ზემოთ აღნიშნული კონფლიქტებიი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩართულობის ჭრილში;

ავღანეთის კონფლიქტი: 2001 წლის 9/11 ტერაქტის შემდეგ, აშშ-ს მიერ გამოცხადებულ იქნა ,,თავისუფალი მხარდაჭერი ოპერაცია"(Operation Enduring Freedom), რომლის მიზანს წარმოადგენდა ავღანეთში კონტრტერორისტული ოპერაციის განხორციელება. ამ ღონისძიებათა მიზანი იყო თალიბანის დესპოტური რეჟიმის განადგურება და მისი ხელისუფლებიდან ჩამოცილება, რადგანაც აღნიშნული რეჟიმი მხარს უჭერდა ალ-ქაიდას, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილი წარმოადგენდა იმ ტერორისტულ ჯგუფებს, რომელიც პასუხისმგებელი იყო სხვადასხვა ტერორისტული აქტების განხორციელებაზე. ასევე ცხადი გახლდათ ის ფაქტი, რომ ავღანეთი უსაფრთხოების ძალებს არ შეეძლოთ, მხოლოდ საკუთარი ძალებით ვითარების სტაბილიზაცია. 2001 წლის 20 დეკემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია N1386, რომელმაც მხარი დაუჭირა საერთაშორისო უსაფრთხოების ძალების ანუ აისაფ-ის მისიის(ISAF) ჩამოყალიბებას. ამ მისიის მთავარ მიზანს წარმოადგენდა დახმარება გაეწია ავრანეთის მთავრობისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით უსაფრთხო გარემოს შექმნის მიმართულებით. პირველ ეტაპზე მისია განთავსდა ქაბულისა და ავღანეთის დედაქალაქის მიმდებარე რეგიონებში, მისიის ფუნქციონირება გაფართოვდა

ჩრდილოეთის, შემდგომში დასავლეთის და სამხრეთის და საბოლოოდ, აღმოსავლეთის და სამხრეთ აღმოსავლეთის ყველაზე უფრო სახიფათო და არასტაბილურ რეგიონებში. თალიბანის მხრიდან ინსპირირებული აჯანყების შესაძლებლობა მეტად ართულებდა ნატო-ს წინაშე არსებულ ამოცანებს. ამ შესაძლო ამბოხების საპასუხოდ მოკავშირეებმა გააცნობიერეს სამხედრო მოსამსახურეთა გაზრდისა და ოპერაციის გაძლიერების აუცილებლობა, რათა აისაფი-ის სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა გაზრდილიყო 130 ათას კაცამდე, რომლებიც წარმოდგენილნი იქნებოდნენ სხვადასხვა რეგიონის 48 ქვეყნიდან. აისაფ-ის სტრატეგიამ, რომლის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის დაცვა, შეამცირა შემთხვევითი მსხვერპლის რიცხვი, მათ შორის იმ შემთხვევაშიც კი, თუ თალიბანი კვლავ შეეცდებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის მიზანში ამოღებას. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ნატო-ს მიერ ავღანეთში ჩატარებული ოპერაციების დროს გათვალისწინებულ იქნა ბალკამეთში მშვიდობისა და სტაბილიზაციის დამყარების დროს მიღებული გამოცდილება.[13]

ბალკანეთის კონფლიქტი: ნატო-მ ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში განვითარებულ მოვლენებში მონაწილეობა 1992 წლიდან დაიწყო. იმავე წლის ოქტომბერში გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ იქნა N781-ე რეზოლუციის მიღება, რომელიც გულისხმობდა ფრენებისათვის აკრძალვითი ზონის დაწესებას, მოგვიანებით კი ნატო-მ და დასევლეთ ევროპის კავშირმა გერო-ს N787-ე რეზოლუციის შესაბამისად, ბოსნიაში იარაღის შეტანასთან დაკავშირებით, დაიწყეს სანქციებისა და ემბარგოს გამოყენება. 1995 წლის აგვისტო-სექტემბერში ნატო-ს მოკავშირეებმა ბოსნიელი სერბების ძალების წინააღმდეგ საჰაერო ოპერაციები განახორციელეს. ამ ქმედებებმა უბიძგეს ბოსნიელი სერბების ხელმძღვანელობას მიეღოთ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეოოტის გეგმა. ნატო-ს ეგიდით და ალიანსის ხელმძღვანელობით ნატო-ს სამშვიდობო ,,განხორციელების ჯარები“(IFOR-Implementation Forces) ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ტერიტორიაზე 1995 წლის

[13] https://www.nato.int/cps/en/natohq/index.htm

დეკემბერში განთავსდნენ, მათი მიზანი გახლდათ შესრულებული და დაცული ყოფილიყო სამშვიდობო შეთანხმების სამხედრო ასპექტების ძირითადი პრინციპები. მოგვიანებით 1996 წლის დეკემბერში IFOR-ის ძალები შეიცვალა SFOR-ის (Stabilisation Forces -,,სტაბილური ძალები“) ძალებით. ნატო-ს წევრმა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდა წარმოდგენილმა 43-მა ქვეყანამ, რუსეთის ფედერაციის ჩათვლით, ხელი შეუწყო ამ ძალების მიერ საკუთარი ამოცანების წარმატებით შესრულებას. ქვეყების ტერიტორიაზე ,,სტაბილიზაციის ძალების“ განლაგების შედეგად საკუთარ კერას დაუბრუნდა დაახლოებით ერთი მილიონი ადამიანი (ვინც სამხედრო მოქმედებების დროს იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლები). უსაფრთხოების სფეროსი სიტუაციის თანდათან გაუმჯობესების გამო, დროთა განმავლობაში სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი ბოსნიაში შემცირდა 60 ათასიდან 7 ათასამდე.

კოსოვოს კონფლიქტი: ნატოს ჩართვა კოსოვოში მიმდინარე მოვლენებში, ეფუძნებოდა ალიანსის გამოცდილებას ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში. ალიანსმა უკვე კარგად გააცნობიერა, რომ ნებისმიერი საერთაშორისო ძალისხმევის წარმატება დამოკიდებილია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობასთან, რათა საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, მოეხდინა ზეგავლენა იუგოსლავიის რეჟიმზე იმისათვის, რომ დასრულებულიყო ზეწოლა ეთნიკურ ალბანურ მოსახლეობაზე. 1999 წლის მარტში ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება დაეწო საჰაერო კამპანია იუგოსლავიის სამხედრო და გასამხედროებული ფორმირებები წინააღმდეგ, რომელთაც ეკისრებოდათ მთავარი პასუხისმგებლობა კოსოვოს მოსახლეობის წინააღმდეგ წარმოებულ რეპრესიებზე. იუგოსლავიის საჰაერო კამპანია 78 დღის განმავლობაში გრძელდებოდა და შედეგად კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის სამხედრო მოქმედებები შეწყდა. კოსოვოდან გაიყვანეს იუგოსლავიის არმია, სერბეთის პოლიცია და გასამხედროებული ფორმირებები; მიაღწიეს შეთანხმება კოსოვოს ტერიტორიაზე საერთაშორისო სამხედრო ძალების განთავსების შესახებ. ნატო-ს

ხელმძღვანელობით ,,კოსოვოს ძალების“ (KFOR-Kosovo Forces) განისაზღვრა იმ სამხედრო-ტექნიკური შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც ხელი მოეწერა ნატო-სა და იუგოსლავიის სამხედრო ხელმძღვანელობას შორის და ასევე გერო-ს უშიშროების საბჭოს N1244-ე რეზოლუციის საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა 1999 წლის ივნისში. როდესაც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მდგომარეობა გაუმჯობესდა ნატო-მ ეტაპობრივად დაიწყო KFOR-ის ძალების ტრანსფორმაცია ,,შეკავების“ რეჟიმში, ანუ იგი მოქმედებდა ნაკლები რაოდენობის ძალებით, ეფუძნებოდა რა პირველ რიგში მოქნილობასა და ინტელექტს, და არა სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობას.[14]

მაკედონიის კონფლიქტი: 2001 წლის აგვისტოში იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა, მაკედონიის (თურქეთი აღიარებს მაკედონიის რესპუბლიკას მისი კონსტიტუციური სახელის შესაბამისად) პრეზიდენტმა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ალბანური ფორმირებების დასაშლელად ნატო-ს ძალებში მხარდაჭერა მოითხოვა. ნატო-ს ხელმძღვანელობამ თანხმობა განაცხადა იმ პირობით, რომ ბალკანეთის ამ სახელმწიფოს აღუდგენდა ეროვნულ უმცირესობების (ეთნიკური ალბანელები) სხვადასხვა უფლებებს, რის შედეგადაც მოხდა ნატო-ს 3500-მდე სამხედრო მოსამსახურის განთავსება ქვეყნის ტერიტორიაზე 30-დღიანი მისიით, რათან ნებაყოფლობით მომხდარიყო ეთნიკური ალბანელების მიერ შექმნილი სამხედრო ფორმირებების განიარაღება. ოფიციალური სკოპიეს თხოვნის საფუძველზე, ნატო-ს ძალები დარჩნენ ქვეყანაში, რათა უზრუნველყოფილიყო ადგილზე სიტუაციის მონიტორინგი ევროპის კავშირისა და უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ 2003 წლის მარტამდე, სანამ მისია გადაეცემოდა ევროკავშირს. ამ წლების განმავლობაში ნატო-ს პოლიტიკა შეიცვალა დასავლეთ ბალკანეთში სამშვიდობო ოპერაციების ჩატარებისა და

[14] https://www.nato.int/cps/en/natohq/index.htm

კრიზისების დარეგულირების სფეროდან პარტნიორული ურთიერთობების მიმართულებით.[15]

ლიბიის კონფლიქტი: ლიბიის პრეზიდენტის მუამარ კადაფის რეჟიმის მიერ სამოქალაქო პირებზე განხორციელებული თავდასხმებისა და 2011 წლის გაზაფხულზე ქვეყანაში დაწყებული სახალხო გამოსვლების შემდეგ, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ იქნა N1970-ე და N1973-ე რეზოლუციები, რომლებიც სხვა ღონისძიებებთან ერთად შეიცავდა მოთხოვნებს ლიბიის ტერიტორიაზე იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებით ემბარგოს შემოღებაზე და საჰაერო ფრენების განხორციელებისათვის აკრძალული ზონის დაწესებაზე. N1973-ე რეზოლუციამ გაერო-ს წევრ ქვეყნებსა და რეგიონულ ორგანიზაციებს ვალდებულება დააკისრა მიეღოთ ,,ყველა საჭირო ზომა" შესაძლო თავდასხმების აღკვეთის მიზნით მშვიდობიანი მოსახლეობის და დასახლებული პუნქტების დასაცავად. საერთაშორისო კოალიციამ მალევე დაიწყო გაერო-ს მანდატის პრაქტიკაში გატარება. მანდატის შესაბამისად ოპერაციის ,,ნატო-ს გაერთიანებული ოპერატიული პროტექტორი" (NATO's Operational Unified Protector), მიზანს წარმოადგენდა გაერო-ს N1970-ე და N1973-ე რეზოლუციების ყველა სამხედრო ასპექტის რეალიზაცია. იარაღით ვაჭრობასა და ფრენებისათვი აკრძალული ზონების დაწესებასთან დაკავშირებით მოკავშირეებმა პრაქტიკულ საქმიანობაში სწრაფად დანერგეს გაერო-ს რეზოლუციის ძირითადი პრინციპები და ასევე მიიღეს დამატებითი ღონისძიებები სამოქალაქო პირებისა და მთლიანად მოსახლეობის დასაცავად იმ რაიონებში, რომლებიც უკვე იმყოფებოდნენ თავდასხმების, ან მოსალოდნელი თავდასხმების საფრთხის ქვეშ. აღნიშნული მოქმედებების შედეგად, ნატო-მ შესძლო გაენადგურებინა კადაფის რეჟიმის სამხედრო ტექნიკის დიდი რაოდენობა და სამხედრო ინფრასტრუქტურა.[16]

ხმელთაშუა ზღვის კონფლქტი: 2001 წლის 9/11 მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ ნატო-მ დაიწყო ოპერაციის ,,აქტიური ძალისხმევა" (Active endeavour)

[15] https://www.nato.int/cps/en/natohq/index.htm

[16] https://www.nato.int/cps/en/natohq/index.htm

განხორციელება, რომლის მიზანს წარმოადგენდა ხმელთაშია ზღვის აკვატორიაში ნატო-ს სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ უკანონო საქმიანობის აღკვეთის მიზნით ტერორისტული საქმიანობის გამოვლენა, ეს გახლდათ ნატოს პირველი ოპერაცია ალიანსის წესდების მე-5 მუხლის საფუძველზე. ნატო-ს ხომალდები გაიგზავნა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მათ დაიწყეს პატრულირება 2001 წლის 6 ოქტომბრიდან. მისიის წარმატების გათვალისწინებით მისი საქმიანობა 2003 წლის დასაწყისში გაფართოვდა გიბრალტარის სრუტემდე, ხოლო 2004 წლის მარტში მან მთელი ხმელთაშუა ზღვის აკვატორია მოიცვა. იმის მიუხედავად, რომ პერაცია შემოიფარგლა ტერორისტული საქმიანობის აღკვეთით, მისი განხორციელება დადებითად აისახა ხმელთაშია ზღვის უსაფრთხოების საერთო დონეზე.

ადენის სრუტის კონფლიქტი: ადენის სრუტეში და აფრიკის რქასთან მეკობრეობის შემთხვევების ზრდამ საფრთხე შეუქმნა საერთაშორისო ჰუმანიტარულ საქმიანობას, (რაც გამოიხატებოდა ჰუმანიტარული ტვირთების მითვისებაში) რაც ასევე დიდ საფრთხეში აგდებდა ინდოეთის ოკიანეში სასიცოცხლოდ მინიშვნელოვანი საკომუნიკაციო და სავაჭრო ხაზების ფუნქციონირებას. გერო-ს გენერალური მდივნის, პან გი მუნის თხოვნის საფუძველზე ნატო-ს ხომალდები ესკორტირებას უწევდნენ გაეროს მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციის პროგრამის გემებს, რომლებიც ტრანზიტით მიემართებოდნენ სახიფათო საზღვაო ზეონების გავლით და ამ ფაქტმა 2008 წლიდან ანტისამეკობრეო ოპერაციების განხორციელების მეშვეობით აღნიშნულ რეგიონში ხელი შეუწყო უსაფრთხოების გაძლიერებას. ოპერაცია ,,ოკიანის ფარი" ასევე აერთიანებს სასწავლო გეგმას რეგიონის ქვეყნებისათვის, კერძოდ ამ სახელმწიფოტა მიერ მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საკუთარი პოტენციალის განვითარების მიზნით.[17]

დღესდღეობით ნატო განიხილავს სულ უფრო მეტ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც გაცილებით ეფეტური უნდა გახდეს კრიზისების და კონფლიქტების

[17] https://www.nato.int/cps/en/natohq/index.htm

მართვის და დარეგულირების გზები, რომლებიც მოიცავს თანამედროვე სამოქალაქო სტრუქტურის ფუნქციონირებას, სამხედრო-სამოქალაქო დაგეგმარების გაფართოებას და კრიზისულ ზონებში ადგილობრივი ძალების უკეთესს ტრენინგს. აქვე აღსანიშნავია გავიხსენოთ, ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფონ რასმუსენის 2011 წლის, 30 მაისს წარმოთქმული სიტყვები: ,,პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება სამხედრო ძალების განვითარების შესახებ არასოდეს არ წარმოადგენს ადვილ ამოცანას, მაგრამ სწრაფად და ხარისხიანად ძალის გამოყენებას ხშირად შეუძლია აღმოფხვრას კრიზისი, რათა მან არ მიგვიყვანოს უფრო სერიოზულ შედეგამდე.“

2.2. ნატო-ს როლი კოლექტიური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში

ცივი ომის განმავლობაში ნატო-ს როლი და მიზნები ნათლად იყო განსაზღვრული და დაკავშირებული საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხეებთან. 1990-იანი წლების დასაწყისისათვის დაიშალა ვარშავის ბლოკი და საბჭოთა კავშირი, და ალიანსმა აქტიური როლი შეასრულა ევროპის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად დაყოფასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრაში, შესთავაზა რა ყოფილ მოწინააღლდეგეებს თანამშრომლობა უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით. ზემოაღნიშნულ ცვლილებათა ტალღა განისაზღვრა ალიანსის ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში, რომელიც დამტკიცდა და გამოიცა 1991 წელს ნოემბერში. ტრადიციული მოწინააღმდეგეების გაქრობასთან ერთად ფიქრობდნენ, რომ გაქრა ასევე ნატო-ს საჭიროებაც და შესაბამისად

მომავალი სამხედრო ხარჯები და ინვესტიციები, სამხედრო სფეროში მნიშვნელოვნად უნდა შემცირებულიყო, მაგრამ მელევე ცხადი გახდა, რომ მართალია ,,ცივი ომის“ დასრულებამ სამხედრო ექსპანსიის საშიშროება აღმოსავლეთიდან გააქრო, მაგრამ ამავე დროს გაიზარდა არასტაბილურობა ევროპის რამდენიმე რეგიონში. კონფლიქტმა, რომელიც ხშირად ძაბავდა ეთნიკურ ურთიერთობებს, იფეთქა ყოფილ იუგოსლავიასა და ყოფილი სსრკ-ის სხვადასხვა ტერიტორიებზე, აქედან გამომდინარე არსებობდა ამ კონფლიქტების წამოშობის და სხვა რეგიონებშიც გავრცელების საფრთხე.

პოლიტიკური და სამხედრი თანამსრომლობის ახალმა ფორმებმა ევროპაში მოითხოვა მშვიდობისა და სტაბილურიბის უზრუნველყოფა და რეგიონული დაძაბულობის შემცირება. ამის გამო ნატო-მ ყოფილ მოწინააღმდეგეებთან თანამშრომლობის გზით ჩამოაყალიბა ევროატლანტიკური უსაფრთხოების თანამშრომლობის ახალი მექანიზმები. მან ასევე განახორციელა მთავარი შიდა რეფორმები საკუთარი სამხედრო სტრუქტურების და რესურსების ახალ ამოცანებთან თანხვედრის მიზნით. კოლექტიურ თავდაცვასთან დაკავშირებულ ტრადიციულ ამოცანებთან ერთად ალიანსი მალე ჩაერთო კრიზისების დარეგულირებაში. ასევე კონკრეტულ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან პარტნიორობის საქმეში, რომელიც მიზნად ისახავდა თანამშრომლობას უსაფრთხოების ფართო სფეროში. ნატო-მ სწრაფად მოახდინა ადაპტირება ცივი ომის შემდგომ არსებულ უსაფრთხოების გარემოში და სულ რამდენიმე წელიწადში მან განსაზღვრა თავისი ახალი ადგილი ნატო-ს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ წარმოებულ პირველ ოპერაციაში, დაუჭირა რა მხარი დასავლეთ ბალკანეთში კონფლიქტის დასრულებას.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ძლერი თუ სუსტი სახელმწიფოები საკუთარი ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით ქმნიდნენ კოალიციებსა და ალიანსებს, სადაც ცალსახად ხდება ქვეყნებს შორის ფუნდამენტური მისწრაფებების

თანხვედრა, რადგან ამ უკანასკნელის არ არსებობის შემთხვევაში, რაიმე სახის შეთანხმების მიღწევა ფაქტიურად შეუძლებელია. უსაფრთხოება, რომელიც დაფუძნებულია თანამშრომლობაზე, თავისთავშივე მოიაზრებს ისეთ სისტემას, სადაც ცალკეული სახელმწიფოების ეროვნული ინტერესების განხორციელება დამოკიდებულია უსაფრთხოების ოთხ რგოლთან, რომლის თავსებადობა მთლიანად აძლიერებს სისტემას;

1. **რგოლი:** ადამიანის უფლებების დაცვა საკუთარ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ (ინდივიდუალური უსაფრთხოება - იგულისხმება სახელმწიფო უსაფრთხოება).
2. **რგოლი**: მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭრა საერთო სივრცეში (კოლექტიური უსაფრთხოება).
3. **რგოლი:** აქტიური სტაბილურობის უზრუნველყოფა სხვა რეგიონებში, სადაც არსებული პრობლემები შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს საერთო უსაფრთხოებას; ურთიერთდახმარება მოკავშირეებს შორის - პოლიტიკური, ინფორმაციული, ეკონომიკური და აუცილებელი შემთხვევების დროს - სამხედრო რესურსების გამოყენებით (სტაბილურობის შენარჩუნება).[18]

როცა ვსაუბრობთ ნატო-ზე, როგორც კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციაზე, არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უდიდესი როლი ნატო-ს შექმნის ისტორიაში, სწორედ გაეროს წესდების 51-ე მუხლის: ,,სახელმწიფოს ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლების შესახებ.“ დაყრდნობით იქნა ჩამოყალიბებული ნატო-ს მთავარი მე-5 მუხლი: ,,ხელშეკრულების მონაწილე მხარეები იზიარებენ იმ აზრს, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მხარეზე ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში განიხილება, როგორც აგრესია ყველას წინააღმდეგ. შესაბამისად, ასეთი თავდასხმის დროს თითოეული მათგანი გაეროს წესდების 51-ე

[18] გ.მაღრაძე, ვ.მაისაია ,,21-საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა, ,,უნივერსალი“, თბილისი, 2017, გვ, 89-90

მუხლით აღიარებული ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენებით უნდა დაეხმაროს დაზარალებულ მხარეს.“

ნატო-ს როლი კოლექტიური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში კარგად ჩანს ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ მისიებსა და ოპერაციებში, რომელიც მოიცავს კონფლიქტებისა და კრიზისების სწრაფად და მშვიდობიანად აღკვეთას, აგრეთვე ჰუმანიტარულ და მხარდამჭერ მიესიებს სამხედრო წვრთნებში. კონფლიქტებისა და კრიზისების დაძლევის მისიების შესახებ, ჩვენ ამავე თავის 2.1.-ში ვისაუბრეთ და ვაჩვენეთ, რაოდენ ეფექტურად იქნა ზემოთაღნიშნული კონფლიქტები გადაჭრილი. აქვე უნდა ავღნიშნოთ სამხედრო წრთვნებში მხარდამჭერი და ჰუმანიტარული მისიების როლი კოლექტიური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში;

ერაყის მხარდამჭერი მისია: ნატო-ს საწრთვნელი მისიის მეშვეობით ალიანსი 2004 წლიდან ახორციელებს ერაყის მთავრობის მხარდაჭერას. ალიანსი ეხლარება ქვეყანას საკუტარი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების წვრთნასა და მომზარებაში, მხარს უწერს სხვადასხვა დაწესებულებების უსაფრთხოებას და კოორდინაციას უწევს სხვადასხვა აღჭურვილობის მიწოდებას. საერთო ჯამში ერაყის მხარდამჭერი მისია ალიანსის მიერ ხორციელდება ერაყში თავდაცვის რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში.[19]

აფრიკის კავშირის მხარდაჭერის მისია: 2003 წლიდან 2010 წლის თებერვლამდე ვიდრე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებას არ მოეწერა ხელი, სუდანის დარფურის პროვინციის მაცხოვრებლები გახდნენ სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის მსხვერპლნი. კონფლიქტს რომელიც გამოწვეული იყო ჰუმანიტარული კრიზისით, მოჰყვა ათიათასობით ადამიანის სიკვდილი და მილიონობით ადამიანის მიერ საცხოვრებელი ადგილი მიტოვება. აფრიკის კავშირის თხოვნის საფუძველზე ნატო-მ სუდანში 2005 წლის ივლისიდან 2007 წლის 31 დეკემბრამდე განახორციელა აფრიკის კავშირის მისიის კონკრეტული მხარდაჭერა, ერთი წლის შემდეგ კი ეს

[19] https://www.nato.int/cps/en/natohq/index.htm

მისია გადაიქცა გაეროს და აგრიკის კავშირის შერეულ მისიად და ნატო-მ გამოხატა მზადყოფნა განეხილა მხარდაჭერის შესახებ ნებისმიერი დამატებითი მოთხოვნები.

ჰუმანიტარული დახმარება სტიქიური უბედურების დროს: ,,24/7" წარმოადგენს საკოორდინაციო ცენტრს, იმ ძალისხმევათა კოორდინაციისათვის, რასაც ითვალისწინებს ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა სტიქიური უბედურების დროს. (მაგ. აშშ-ი ქარისხალი ,,კატრინა," პაკისტანში დამანგრეველი მიწისძვრა,ა.შ.) ცენტრის ფუნქციას მიეკუთნება ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული შტევების წინააღმდეგ ბრძოლაც.[20]

ნატო-ს ყველა მხარდამჭერი პროგრამა ხორციელდება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კოორდინაციის მეშვეობით. კერძოთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან და ევროპის კავშირთან, ასევე ცალკეულ პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი; კოფლიქტი, კრიზისი, სამხედრო სწავლების მხარდაჭერა და ჰუმანიტარული დახმარერის მისიები უაღრესად მნიშვნელოვანი გახლავთ კოლექტიური უსაფრთხოების შენარჩუნებასა და განმტკიცებაში, რადგან სწორედ ასეთი მწვავე კერების არსებობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მსოფლიო მშვიდობას და მისი განვითარებას, ეს კი სიმეტრიულად აისახება მოქალექეების მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და მათ შორის საერთაშორისო პოლიტიკაზეც.

თავი III

ნატო-ს მიდგომები ახალ ასიმეტრიულ საფრთხეებთან ბრძოლის საქმეში

[20] https://www.nato.int/cps/en/natohq/index.htm

,,ჩვენ ვაწყდებით ახალ, რადიკალურად შეცვლილ ვითარებას, რომელიც დაკავშირებულია ტერორიზმთან, მასობრივი განადგურების იარაღთან და ,,არშემდგარ სახელმწიფოებთან“ ჩვენ ყველანი ვაწყდებით გამოწვევებს, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება ყველა იმ საფრთხისაგან, რომელსაც ჩვენ ვაწყდებოდით წარსულსი“.[21]

ნატო წამოადგენს პოლიტიკურ და სამხედრო ალიანსს, რომლის მთავარი მიზანია მისი წევრი სახელმწიპოების კოლექტიური თავდაცვა და ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში დემოკრატიული მშვიდობის განმტკიცება. ყველა 29 სახელმწიფოს გააჩნია ხმის თანაბარი უფლება, ალიანსის გადაწყვეტილება უნდა იყოს ერთსულოვანი და დამყარებული კონსენსუსის პრინციპზე, მისი წევრები ვალდებულნი არიან პატივი სცენ ფულდამენტურ ღირებულებებს და ამით მხარი დაუჭირონ ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა დემოკრატია, ინდივიდუალური თავისუფლება და კანონის უზენაესობა. ალიანსს გააჩნია სამხედრო და სამოქალაქო შტაბები და გაერთიანებული სამეთაურო სტრუქტურა, მაგრამ ამავე დროს, ნატო-ს უშუალო დაქვემდებარებეში შედის შეიარაღებული ძალების მცირე ნაწილი, ხოლო სამხედრო ძალების ძირითადი ნაწილი ეროვნული სამეთაურო სტრუქტურების დაქვემდებარებაში იმ დრომდე რჩება, ვიდრე ნატო-ს წევრო სახელმწიფოები არ შეთანხმდებიან ალიანსის სახელით ოპერაციის განხორციელებაზე.

ნატო-ს გააჩნია სამი ძირითადი ამოცანა:

1.კოლექტიური თავდაცვა;

2.კრიზისების დარეგულირება;

3.პართნიორების მეშვეობით უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა;

ალიანსი ახორციელებს თავისი წევრების დაცვას პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით, ეს კი ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დანერგვას და მიმართულია დავების მშვიდობიანი გზით დარეგულირებისაკენ. თუ დიპლომატიურ

[21] იაპ დე ჰოოჰ სხეფერი, ნატო-ს გენერალური მდივანი, 17 ნოემბერი, 2004 წელი

ძალისხმევას არ მოაქვს შედეგი, მაშინ ალიანსს გააჩნია სამხედრო პოტენციალი, რომელიც საჭიროა კოლექტიური თავდაცვისა და კრიზისების დარეგულირებისათვის.

3.1. ახალი ტიპის საფრთხეების ფაქტორი ნატო-ს ახალ კონცეპტუალურ დოკუმენტებში

1999 წელს მიღებულმა ნატო-ს სტრატეგიულმა კონცეფციამ კერძოდ, ახალ მისიებში ჩართულობამ განსაზღვრა ცვლილებები ცივი ომის შემდგომ პერიოდში შექმნილ უსაფრთხოების ახალ გარემოში და ჩამოაყალიბა თანამშრომლობის განსხვავებული პრიორიტეტები. ახალმა კონცეფციამ ასევე განსაზღვრა, რომ მომალი საფრთხეების შესაძლოა ყოფილიოყო იმდენადა ,,მრავალფეროვანი", რომ ხშირად მათი პროგნოზირება იქნებოდა შეუძლებელი, რაც ფაქტობრივად კარგად გამოვლინდა შემდგომი მოვლენების განვითარების ფონზე. 2001 წლის 9/11-ის ტერაქტის დროს ტერორისტებმა გამოიყენეს სამგზავრო თვითმფრინავი, როგორც მასობრივი განადგურების იარაღი აშშ-ში განლაგებული სამიზნეების წინააღრმდეგ. თავდასხმების შოკისმომგვრელმა სისასტიკემ და იმ საშუალებებმა, რითაც აღნიშნული ქმედება განხორციელდა, მოახდინა ღია და დემოკრატიული საზოგადოებების დაუცველობის დემონსტრირება ასიმეტრიული საომარი ქმედებების ახალი ფორმის წინაშე და სწორედ აქედან გამომდინარე 2001 წლის 10/11-ს, პირველად ალიანსის ისტორიაში მოკავშირეებმა აამოქმედეს ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი და ამით დაადასტურეს, რომ ნატო-ს ერთ წევრზე თავადასხმა წარმოადგენს თავდასხმას ალიანსის ყველა წევრზე.

2002 წელს პრაღაში და 2004 წელს სტამბულში გამართულ ნატო-ს სამიტზე იყო მცდელობა მომხდარიყო ალიანსის ტრანსფორმირება კიდევ უფრო დინამიურ ორგანიზაციად, რომელიც შეძლებდა განეხორციელებინა ოპერაციები ნატო-ს

ტრადიციული საოპერაციო ზონების ფარგლებს გარეთ. ტერორიზმთან დაკავშირებულ საერთაშორისო საფრთხეებთან ერთად ნატო-ს ლიდერებმა მალე გააცნობიერეს ფართომაშტაბიანი ტექნოლოგიური და გეოპოლიტიკური განვითარება, რომელთაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ გლობალურ დონეზე, ნატო-ს სამომავლო როლდა და პასუხისმგებლობაზე.

XXI საუკუნეში ნატოს წინაშე არსებული არასტანდარტული უსაფრთხოების გამოწვევები აღწერილ იქნა 2010 წლის ნოემბერში ლისაბონის სამიტზე მიღებულ სტრატეგიულ კონცეფციაში. აღნიშნული კონცეფცია მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც, ის აერთიანებდა ყველა იმ ახალ გამოწვევას, რომელსაც შეეჩეხა ან საფრთხის დონეზე აღიქვამდა ნატო-ში შემავალი ყველა ქვეყანა. პირველ რიგში დოკუმონტში აღნიშნულ იქნა, რომ ბირთვული, მასობრივი განადგურების და სხვა იარაღის გავრცელებას და გადამტან სისტემებს შეუძლიათ გამოიწვიონ წარმოუდგენელი შედეგები გლობალური სტაბილურობისა და გავითარების კუთხით. მეორე, ტერორიზმი პირდაპირი საფრთხის შემქმნელია ნატო-ს წევრი ქვეყნების მოქალაქეთა უსაფრთხოებისათვის, ასევე ის საფრთხეს უქმნის საერთაშორისო სტაბილურობასა და კეთელდღეობას იმ სემთხვევაში, თუ ტერორისტები დაეუფლებიან ბირთვულ, ქილიურ, ბიოლოგიურ ან რადიოლოგიურ იარაღს. მესამე, ნატო-ს საზღვრებს გარეთ არსებულ არასტაბილურობასა და კონფლიქტებს შეუძლიათ პირდაპირ დაემუქრნონს ალიანსის უსაფრთხოებას ექსტრემიზმის, ტერორიზმის და ისეთი ტრანსნაციონალური უკანონო ქმედებების ხელშეწყობით როგორიცაა: იარაღიით, ადამიანებითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა. მეოთხე კიბერთავდასხმები, რომლებიც თნამედროვე ეტაპზე უფრო ორგანიზებული და ძვირადღირებულია. უცხოელი სამხედროები და სადაზვერვო სამსახურები ახორციელებენ კრიმინალების, ტერორისტების და ექსტრემისტული ჯგუფების ორგანიზებას და ამ უკანასკნელებს შეუზლიათ გახდნენ ასეთი თავდასხმების წყარო. თანამედროვე ლაზერული იარაღი და ტექნოლოგიები, რომლებსაც ძალუძთ მიაღწიონ კოსმოსურ სივრცეს, იმსახურებენ შესაბამის ყურადღბას. აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ ქვეყნები მოქცეულია სასიცოცხლო კომუნიკაციების ფარგლებში და შესაბამისად მათი უსაფრთხოებაც დამოკიდებულია სატრანსპორტო და სატრანზიტო კომუნიკაციებზე, რომელთა ფუნქციონირებაზეც, თავის მხრივ დამოკიდებულია საერთაშორისო ვაჭრობა, ენერგეტიკული უსაფრთხოება და კეთილდღეობა. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილის ტრანსპორტირება ხორციელდება გლობალური მასშტაბებით, შესაძლებელია შეფერხდეს ენერგეტიკული რესურსებით სხვადასხვა რეგიონების უზრუნბელყოფა. 2010 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში ნატო ადასტურებს რომ ალიანსს უნდა შეეძლოს დაიცვას თავისი წევრები ახალი საფრთხეებისაგან და შეძლოს მწვავე კრიზიდების ეფექტურად გადაწყვეტა, ასევე კონფლიქტების შეჩერებასთან ერთად შექმნას შესაბამისი პირობები შვიდობისა და უსაფრთხოებისათვის. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2010 წლის ლისაბონში მიღებული სტრატეგიული კონცეფცია მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს ნატო-ს გამოწვევებისა და მიზნების განხორციელებაში.

2012 წლის მაისში ნატო-ს ჩიკაგოს სამიტზე საფუძველი ჩაეყარა გონივრული თავდაცვის ინიციატივას (Smart Defence Initiative), რომლის მიზანი გახლდათ უსაფრთხოების სფეროში არსებულ და მოსალოდნელ გამოწვევებთან გამკლავება ერთიანი ძალისხმევით (Pooling and Sharing) და მიმიმალური დანახარჯებით. კონცეფცია მოიაზრებს სწორი პრიორიტეტების დასახვასა და არსებული რესურსების მიმართვას მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებას. გონივრული თავდაცვის ინიციატივის ფარგლებში, ალიანსის წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების ეროვნული პრიორიტეტების გათვალისწინების ფარგლებში, სხვადასხვა მრავალეროვნული პროექტის განხორციელება დაიგეგმა, რომლებიც მონაწილე ქვეყნების სამხედრო შესაძლებლობების განვიტარებას ემსახურება.

ნატო-ს მოკავშირეთა ძალები სხვადასხვა კონტინენტზე მისიასა და ოპერაციებში მონაწილეობენ, რადგან ალიანსის წინაშე არსებობს ისეთი გამოწვევები და პრობლემები, როგორიცაა: მასობრივი განადგურების იარაღის შესაძლო

გავრცელება, ბალისტიკური რაკეტების ტექნოლოგიების გავრცელება, ტერორიზმი, კიბერუაფრთხოება და ენერგოუსაფრთხოება. ამ ამოცანების შესრულებისათვის ნატო ახორციელებს საკუთარი სამხედრო პოტენციალის მოდერნიზაციას, როგორც დოქტრინალურ ასევე პრაქტიკულ დონეზე, რადგან ალიანსს გააჩნია საკმარისი ფინანსური, სამხედრო და ადამიანური რესურსები. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა: ნატო ისწრაფვის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების შეჩერებისაკენ, მასობრივი განადგურების იარაღით გამოწვეული მოსალოდნელი შეტევისაგან თავდასაცავად და ამაგვარი შესაძლო შეტევებისაგან გამოწვეული ზარალის ლიკვიდაციისაკენ. ყოველივე ეს თავის მხრივ მოითხოვს პროფილაქტიკური ზომების გატარებას და სწორედ აქედან გამომდინარე ალიანსის პოლიტიკის მიზანია ასევე ცალკეულ სახელმწიფოებს ხელი ააღებინოს ამგვარი განზრახვის განხორციელებაზე. აღნიშნული ღონისძიების გატარების საფუძველზე გამოვლენილნი იქნენ ის ტერორისტული ქსელები, რომლებიც მოიპოვებენ ამგვარ იარაღს. ეს ასევე მოითხოვს ძალების ბალანსირებულ თანხვედრას პოტენციალის გაზრდასა და თავდაცვის გაძლიერებას რათა მოხერხდეს მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებისაგან თავდაცვა. თუ მზგავსი შეტევის შეკავება შეუძლებელი გახდა, მაშინ ნატო მზად უნდა იყოს აღმოფხვრას ამგვარი ქმედებების შედეგები.[22]

რაკეტსწინააღმდეგო სისტემის შემუშავება: დღეს მსოფლიოს დაახლოებით 30-ზე მეტი ქვეყანა ფლობს ან იძენს ბალისტიკურ რაკეტებს,რომლებიც შესაძლოა აღჭურვილ იქნენ უბრალო ან მასობრივი განადგურების მქონე ქობინებით. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი შეიარაღების ფლობა არ მიანიშნებს იმაზე, რომ რაკეტების მფლობელ ქვეყანას გააჩნია სურვილი ან განზრახვა თავს დაესხას ნატო-ს, ალიანსს ტავის მხრივ გააჩნია პასუხისმგებლობა დაიცვას საკუთარი მოსახლეობა. ალინსი წარმატებით ახორციელებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვით პოლიტიკას

[22] https://www.nato.int/cps/en/natohq/index.htm

და წარმატებით ხდება ,,ბალისტიკური სარაკეტოტავდაცვის თეატრის აქტიური დაცვა“ (Active Layered Theatre Missile Defence-ALTBMD) სისტემის განერგვა, რომლიც საშუალებას აძლევს ნატო-ს დაიცვას საკუტარი ძალები მოკლე და საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტებისაგან.[23]

ბრძოლა ტერორიზმთან: ნატო-ს ოპერაციები ხმელთაშუა ზღვასა და ავღანეთში წარმოადგენს ალიანსის მიერ ტერორისზმის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების ნათელ დადასტურებას. გარდა ამისა ტერორიზმისაგან თავდაცვის ნატო-ს პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალური მოკავშირეები თანამედროვე ტექნოლოგიების განსავიტარებლად სხვადასხვა პროექტებს ახორციელებენ, რაც თავის მხრივ უსაფრთხოების სფეროში გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს. ამის ერთ-ერთი მაგალითია ასაფეთქებელი ნივთიერებების დისტანციური აღმოჩენის (Standex) პროგრამა, რომელიც შემუსაბდა ნატო-რუსეთის საბჭოს ეგიდით. ეს პროგრამა მიმართულია ტერორისტული თავდასხმების საშუალებათა გამოვლენისაკენ, ტერორისტული აქტების აღმოცენისა და აღმოფხვრისაკენ. ასევე ტერორიზმის წინააღლდეგ ბრძოლისათვის ნატო მიმართავს სადაზვერვო სამუშაოების გააქტიურებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში თუ გამოყენებული იქნება ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური ან ბირთვული საშუალებები.

კიბერუსაფრთხოების გაძლიერება: მას შემდეგ რაც ესტონეთის წინააღმდეგ 2007 წელს აპრილსა და მაისში განხორციელდა კიბერშეტევა, ნატო-ს საქმიანობა გააქტიურებული იქნა ნატო-ს ინდივიდუალური წევრების კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. კიბერშეტევებს შეუძლიათ მიაღწიონ მიზანს, რაც საფრთხეს უქმნის ეროვნულ და ევრო-ატლანტიკურ პერსპექტივებს, მათ უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. განახლებული პოლიტიკა ალიანსის წევრებს სთავაზობს კიბერტავდაცვის სფერიში კოორდინირებულ მიდგომას, რომელიც მიმართული გახლავთ კიბერშეტევის აღმოფხვრისაკენ. ნატო-ს ყველა შესაბამისი სტრუქტურა

[23] https://www.nato.int/cps/en/natohq/index.htm

მოექცა ,,ცენტრალიზებული თავდაცვის“ ქვეშ და შემუსავდა ახალი კიბერუსაფრთხოების მოთხოვნები. ის ასევე აყალიბებს იმ ჩარჩოებს, რომლის ფარგლებშიც ნატო მოკავსირეებს თავისი მოთხოვნის საფუძველზე კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის გატარებისას დახმარებას აღმოუჩენს.[24]

ენერგოუსაფრთხოების გაძლიერება: ალიანსის მოკავშირეების მივიდნენ შეთანხმებამდე, რომ ყველა ქვეყანა საჭიროებს სტრატეგიული კომუნიკაციის არსებობას, სატრანსპორტო და სატრანზიტო გზებს, რომლებზეც დამოკიდებულია საერთაშორისო ვაჭრობა, ენერგოუსაფრთხოება და განვითარება. ეს ყველაფერი კი საჭიროებს საერთაშორისო ძალისხმევას იმის უზრუნველსაყოფად, რომ აღნიშნული გზები დაცულნი იყვნენ ტავდასხმებისა და დაზიანებებისაგან. ნატო მუსაობს თავის პარტნიორებთან ენერგოუსაფრთხოების სფეროში საკუთარი წვლილის შესატანად, სადაც აქცენტი კეთდება ხუთ ძირიტად სფეროზე, რომელთა შესახებ შეტანხმება მიღწეულ იქნა 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე. ეს სფეროები მოიცავენ ინფორმაციის, მათ შორის სადაზვერვო ინფორმაციის ურთუერთგაცვლას, სტაბილურობის უზრუნველყოფას, საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობას და საჭირო ინფრასტრუქტურის დაცვას. ნატო ასევე თანამშრომლობს თავის პარტნიორებთან ევრო-ატლანტიკური პართნიორობის საბჭოს, ხმელეთაშუა ზღვის დიალოგიასა და სტაბილურობის თანამშრომლობის ინიციატივის მეშვეობით. ეს თანამშრომლობა სხვადასხვა საკითხების განხილვის საფუძველზე ხელს უწყობს მღავალმხრივი ურთიერთობების განვითარებას ენერგიის მწარმოებლებს, სატრანზიტო ქვეყნებსა და ენერგიის მომხმარებლებს შორის.

სამხედრო შესაძლებლობების მოდერნიზაცია: ითვალისწინებს ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესებას, უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების ფარგლებში, თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწტობილებების ლიკვიდაციის პროგრამას, საჰაერო და საზღვაო გადაზიდვების შესაძლებლობათა გაუმჯობესებას იმ მიზნით, რომ

[24] https://www.nato.int/cps/en/natohq/index.htm

აღნიშნული ძალები და საშუალებები განთავსდეს იმ ადგილებში სადაც მათი ყოფნა განსაკუთრებით საჭიროა. ასევე სამხედრო სფეროში სესაბამისი პოლიტიკის გატარება მოითხოვს ლოჯისტიკის კოლექტიური შეთანხმების პროგრამის განხორციელებას. გარდა ამისა მნიშვნელოვანია ქსელური საინფორმაციო სისტემების მეშვეობით საინფორმაციო მართვის უზრუნველყოფა, ეს სისტემები მხარს უჭერენ ნატო-ს ისეთ სტრატეგიულ სარდლობებს როგორიცაა: ინტეგრირებული საჰაერო სარდლობა და კონტროლის სისტემა, აგრეთვე ერთობლივი დაზვერვა, დაკვირვების და ამოცანების სისტემა და ალიანსის სახმელეთო ბაზირების სისტემა , რომელსაც შეუძლია აღმოაჩინოს და დაკვირვეგა განახორციელოს ისეთ სატრანსპორტო საშუალებებზე, როგორიცაა: ტანკები, სატვირთო ავტომობილები და ვერტმფრენები, ასევე ტექნიკა რომლებიც გადაადგილდბა ხმელეთზე ან ხმელეთის სიახლოვეს, ნებისმიერი ამინდის პირობებში.[25]

ნატო-ს რეაგირების ძალები (NRF): წარმოადგენს ტექნოლოგიურად განვიტარებულ მრავალეროვან ძალებს, რომლებიც იმყოფებიან საგანგებო მზადყოფნის მდგომარეობაში. ისინი შედგებიან სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და სპეციალური კომპონენტებისაგან. NRF-ს გააჩნია მრავალმხრივი მიზანი, უზრუნველყოს სწრაფი სამხედრო რეაგირება წარმოქმნილ კრიზისზე, რაც შესაძლებლობას აძლევს ნატო-ს ოპერატიულად რეაგირებდეს კრიზისებზე მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ NRF-ს გვევლინება კატალიზატორის როლში ნატო-ს სამხედრო ტრანსფორმაციის დროს.[26]

ნატო ისწრაფვის გააგრძელოს რეფორმების პროცესი, შესაბანისად, მომავალში ალიანსი გახდება კიდევ უფრო მოქნილი, ნაყოფიერი და ეფექტური. ალიანსის სამი ზირიტადი ამოცანა – კოელექტიური თავდაცვა, კრიზისების დარეგულირება და თანამსრომლობა უსაფრთხოების სფეროში, საჭიროებს ორგანიზაციის მუდმივ ადაპტაციას. ეკონომიკური კრიზისის პირობებში ნატო-ს ბიუჯეტში სამხედრო

[25] https://www.nato.int/cps/en/natohq/index.htm
[26] https://www.nato.int/cps/en/natohq/index.htm

დანახარჯების შეკვეცა წარმოშობს საჭიროებას, რომ ალიანსმა ნაკლები დანახარჯებით გაკეთოს მეტი და ამავე დროს, არ დააზიანოს საკუთარი შესაძლებლობები.

2010 წელს ლისაბონის სამიტზე ნატო-ს ლიდერებმა მოილაპარაკეს გააგრძელონ ძალისხმება რეფორმების ამბიციური პაკეტის შესასრულებლად, რომელიც მოიცავს სამხედრო სტრუქტურის, სააგენტოებისა და რესურსების მართვის განხილვას. ეს გულისხმობს ნატო-ს ახალი სამეთაურო სტრუქტურის ფარგლებში ღონისძიებების გატარებას, რათა ოპერაციები გახდეს უფრო ეფექტური, ხელმისაწვდომი და განფენილი. ნატო-ს შტაბ ბინაში ასევე შეიქმნა უსაფრთხოების ახალი გამოწვევების თანამედროვე განყოფილება. კერძოდ ის ნატო-ს შტაბ ბინაში აერთიანებს არსებული ექსპერტიზის სხვადასხვა მიმართულებებს, რათა უზრუნველყოს საერთაშორისო მოვლენების მონიტორინგისა და პრიგნიზირების, შესაძლებლობა, მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მოკავშირეთა საერთო ღირებულებების და ინტერესების საფუძველზე ტრანს ატლანტიკური ალიანსი უნდა შეესაბამებოდეს ტავის ზირიტად მიზანს: მისი წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვას.

მიუხედავად ნატო-ს მრავალმხრივი ტრანსფორმაციისა, რომელიც საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს ახალი გამოწვევების ფონზე, არ შეიძლება ყურადღება არ დაუთმოთ ტრადიციულ საფრთხეებს, რომლებიც თითქოს ნაწილობრივ დავიწყებულნი არიან შეუძლიათ კვლავ იჩინონ თავი, რადგან ბევრი ქვეყანა თუ რეგიონი იძენს ახალ სამხედრო ფუნქციას ევრო-ატლანტიკურ და საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საფრთხეების ფონზე, რომელთა პროგნოზირებაც ფაქტიურად შეუძლებელია.

3.2.ნატო-ს სტრატეგიული პარტნიორები: ასიმეტრიული საფრთხეები საქართველოში და ნატოს როლი ამ საფრთხეების აღმოფხვრაში

,,ევროატლანტიკური უსაფრთხოების განვითარება ყველაზე უფრო კარგად უზრუნველყოფილია მსოფლიოში არსებულ სხვადასხვა ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობების ფართო ქსელის მეშვეობით. ტანამშრომლობას კონკრეტული და ღირებული წვლილი შეაქვს ნატო-ს ფუნდამენტური ღირებულებების წარმატებაში“.[27] სტარტეგიული კონცეფცია ლიასაბონის სამიტი, ნოემბერი, 2010 წელის

ნატო ახდენს უსაფრთხოების გაფართოებას პარტნიორობის მეშვეობით და სწორედ ამ პარტნიორობას აქვს კონკრეტული და ღირებული როლი, რომელიც ითვალისწინებს ნატო-ს ფუნდამენტური ამოცანების წარმატებას. 1990-იანი წლების დასაწყისიდან პარტნიორული ურთიერთობების ქსელს წევრი ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებთან ევროატლანტიკურ რეგიონში, ხმელთაშუა ზღვისდა ქვეყნებში, სპარსეთის ყურისა და მის გარეთ მდებარე რეგიონებში. ასეთი პარტნიორობა უზრუნველყოფს ჩარჩოებს პოიტიკური დიალოგიასა და თანამშრომლობისათვის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. მას აქვს დიდი მნიშვნელობა ნატო-ს და მისი მისიების ხელმძღვანელობით მრავალი ოპერაციის ცატარების საქმეში და ხელს უწყობს იმ ღირებულებათა განვითარებას, რომელიც ალიანსს უდევს საფუძვლად. 2011 წელს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა შიმუშავეს ახალი პოლიტიკა იმ მიზნით, რომ პართნიორობა გაეხადათ უფრო ეფექტური და მოქნილი. ეს კი ნიშნავს, რომ ნატო განავითარებს პოლიტიკურ

[27] სტარტეგიული კონცეფცია ლიასაბონის სამიტი, ნოემბერი, 2010 წელი.

დიალოგს და პრაქტიკულ თანამშრომლობას სხვადასხვა ერებთან მთელს მსოფლიოში, რომელიც შეესატყვისება ალიანსის ინტერესებს, საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ნატო-ს ეს ნაბიჯი პართნიორებთან ურთიერთობებში მოიცავსუფრო მეტ პოლიტიკურ კონსულტაციებს უსაფრთხოების საკითხებზე, რომლებიც წარმოადგენენ ერთობლივი ინტერესების საგანს, პარტნიორობის რაციონალურ ინსტრუმენტთა ერთობლიობას და შესაბამისად იზრდება პარტნიორობის როლი სტრატეგიის ფორმირებაში და გადაწყვეტილების მიღების დროს იმ ოპერაციებში, რომლებშიც ნატო-ს წევრი პარტნიორი ქვეყნები მონაწილეობენ. ახალი პოლიტიკის შესაბამისად ყველა ქვეყანას, რომელთანაც ნატო-ს პარტნიორული პროგრამები გააჩნია, წარმოადგენს პარტნიორს ევროატლანტიკური სივრციდან, ხმელთაშუა ზღვის დიალოგის, სტამბულისთანამშრომლობის ინიციატივის, ან გლობალურ პარტნიორებთან შესთავაზებენ შემუსავდეს თანამშრომლობისა და ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამები.შესაბამისი პროგრამების შემუსავების პროცესში ყველა პარტნიორს შესაძლებლობა ექმნება დაამყაროს ახალი პრტნიორული ურთიერთობები და შეიმუშაოს სხვადასხვა თანამშრომლობის გამოწვევებში ჩართვის შესაძლებლობა, ეს მოიცავს სამხედრო ტანამშროლობიდან და კადრების მომზადებიდან დაწყებული, სამხედრო რეფორმების და დაგეგმარების, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების, სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლისა და კრიზისების დარეგულირების სფეროში მონაწილეობით, ასევე მეცნიერებასა და გარემოს დაცვის სფეროში ტანამშრომლობას და ა.შ.

ზოგიერთი პარტნიორის შემთხვევაში ნატო-ს შეუძლია მოლაპარაკება გამართოს კონკრეტულ მხარესთან თანამსრომლობისნ გაღრმავებისა და სხვადასხვა მიმართულებით ქმედებების გასაფართოებლად, რისი საბოლოო მიზანიც იქნება ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) პარგლებში ცალკეულ პარტნიორებთან რეფორმების განხორციელებისაკენ მიმართული ძალისხმევის მხარდაჭერა. ასეთი პარტნიორები შეთაბაზებას მიიღებენ, მონაწილეობა მიიღონ

დაგეგმვისა და ანალიზის (PARP)პროცესში. ეს კი უზრუნველყოფს ძალებისა და შესაძლებლობების განსაზღვრის სტუქტურლ საფუძველს, რომელიც ალიანსისათვის შეიძლება მიღწევადი იყოს ერთობლივი სწავლებისა და ოპერაციების პროცესის ფარგლებში, ეს ღონისძიებები ასევე ემსახურებიან პროგრესის მიღწევას ტავდაცვისა და სამხედრო რეფორმების სფეროში. IPAP - ის განბიტარების ადრინდელ ეტაპზე PARP - თან მიერთების შესაძლებლობა თუ ღია იყო, მხოლოდ ევროატლანტიკური რეგიონის პართნიორებისათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ პროგრამაში ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის", ნატო-ს პარტნიორობის ახალი პოლიტიკის ფარგლებში ეს ინსტრუმენტები შესაძლებელია შეთავაზებულ იქნას ნებისმიერი დაინტერესებული პარტნიორისათვის, თითოეულ კოკნკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური ინტერესების საფუძველზე.

ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (EAPS) აერთიანებს წევრი და პარტნიორ ქვეყნებს და წარმოადგენს მრავალეროვან ფორუმს დიალოგის, კონსულტაციებისა და თანამშრომლობის მიმართულებით. ის დაფუძნდა 1997 წელს, როდესაც ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭომ შეცვალა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (NACC), რომელიც 1991 წლის დეკემბერში ვიცი ომის დასრულებისთანავე შეიქმნა. ავრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრებიერთმანეთს ყოველთვიურად ელჩების დონეზე ხვდებიან. პარტნიორები რეგულარულად უზიარებენ ერთმანეთს სხვადასხვა მოსაზრებას პოლიტიკის , თავდაცვისა და უსაფრთხოებსი სფეროებში მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ შორის მჭიდრო კავშირშია უსაფრთხოების სფეროში არსებულ ვითარებასთან. საბჭო ორმხრივი ურთიერთობების საფუძველზე უზრუნველყოფს მრავალმხრივ პოლიტიკურ ჩარჩოებს ნატო-სა და პარტნიორ ქვეყნებს შორის პროგრამის ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში, რომელიც 1994 წელს შეიქმნა. პროგრამის მიზანი დემოკრატიული პრინციპების ერთგულების საფუძველზე, სტაბილურობის ამაღლება, მსოფლიოსათვის საფრთხეების შემცირება და უსაფრთხოების სფეროში ნატო-სა და ცალკეულ

პარტნიორ ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარება. პროგრამა ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის“ საშუალებას აძლევს პარტნიორ ქვეყნებს დაამყარონ ინდივიდუალური ურთიერთობები ნატო-სთან. მათ შეუძლიათ შეთავაზებულ ღონისძიებათა ფართო სპექტრიდან აირჩიონ ის საკითხები, რომლებიც შეესაბამება თანამშრომლობის განსავითარებლად მათ საკუთარ პრიორიტეტებს.

აღსანიშნავია ასევე ხმელთაშუა ზღვის დიალოგი, სწორედ აღნიშნული დიალოგის ფარგლებში მოხდა ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის სრულყოფა. აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ექვსი სახელმწიფო: ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, მავრიტანია, მაროკო და ტუნისი. პროგრამა, რომელსაც ალჯირი 2000 წელს შეუაერთდა, მიმართულია პოზიტიური ურთიერთობების შექმნისა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთგაგების გააქტიურებისაკენ, ასევე რეგიონული ისაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობისაკენ. რაც შეეხება ნატო-ს სტამბულის თანამშრომლობის ინიციატივას (Istanbul Cooperation Initiative-ICI) 2004 წელს ჩამოყალიბდა და ამ ინიციატივამ წარმოაჩინა ალიანსის მზადყოფნა განევითარებინა თანამშრომლობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რომლებიც არ მონაწილეობენ ხმელთაშუა ზღვის დიალოგში. სთავაზობს რა სპარსეთის ყურის რეგიონის ქვეყნებს ნატო-სთან პრაქტიკულ ორმხრივ თანამშრომლობას, ინიციატივა მოწოდებული ხელი შეუწყოს გრძელვადიან პერსპექტივაში გლობალურ და რეგიონულ უსაფრთხოებას.[28]

ნატო-ს მიერ ევროატლანტიკურ სივრცეში, პარტნიორებს შორის შემუშავდა თანამშრომლობის სპეციალური ჩარჩოები საქართველოსთან მიმართებაში. ურთიერთობა საქართველოსთან, როგორც 1990-იანი წლების დასაწყისიდან ალიანსის პარტნიორ ქვეყანასთან, უფრო ინტენსიური გახდა 2003 წელს ქვეყანაში მომხდარი ,,ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდიდან. 2006 წელს დაიწყო

[28] https://www.nato.int/cps/en/natohq/index.htm

საქართველოში ევრიოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სწრაფვასთან დაკავშირებით მიმდინარე შიდა რეფორმების მხარდაჭერა და ორ მხარეს შორის ინტენსიური დიალოგის პროცესი. 2008 წელს გამართულ ბუქარესტის სამიტზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ლიდერები შეთანხმდნენ, რომ როგორც საქართველო, ასევე უკრაინა ერთ დღეს გახდებიან ალიანსის წევრები. რუსეთთან ომის შემდგომ, კერძოდ 2008 წელის სექტემბერში ნატო-სა და საქართველოს შორის შეიქნნა ნატო-საქართველოს კომისია, რათა განეხილა ალიანსის მიერ საქართველოს მხარდაჭერა პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში და ეთამაშა მთავარი როლი საქართველოს დახმარებაში ალიანსის წევრობის მოთხოვნათა დაკმაყოფილების პროცესში. ალიანსის წევრი ქვეყნები 2008 წლის დეკემბერში შეთანხმდნენ, რომ საქართველო შეიმუშავებდა წლიურ ეროვნულ პროგრამას (ANP), რომელშიაც ასახული იქნებოდა საქართველოს განვითარების მოკლე და გრძელვადიანი პერსპექტივა. საქართველო ANP-ის ნატო-ში გაწევრიამების ინსტრუმენტად განიხილავს და აღნიშნული დაკუმენტი წარმოადგენს იმ მნიშვნელოვანი საკითხებისა და რეფორმების ნაკრებს, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ნატო-ს სტანდარტებთან მაქსიმალურ დაახლოებას. მიუხედავალ დიმისა რომ ANP-ი არ არის ეროვნული დოკუმენტი და მისი შემუშავებისას ნატო-გან რაიმე ფორმალურ თანხმობას არ საჭიროებს, საქართველო ყოველი წლის დასაწყისში წარუდგენს ალიანსს დოკუმენტს, რის შედეგადაც საქართველოში ნატო-ს შემფასებელთა მისიის ვიზიტი იმართებადა წლის ბოლოსს ალიანსი წარმოადგენს წლიური ეროვნული პროგრამის შფასებას. ამჟამად საქართველო ანხორციელებს ANP-ს VII ციკლს და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წლების განმავობაში ნატო დადებით შეფასებას აძლევს წლიური ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული პრიორიტეტების შესრულებას 2014 წლის 5-4 სექტემბერს გამართულ ნატო-ს უელსის სამიტზე საქართველომ ალიანსისაგან ნატო-საქართველოს არსებითი ღონისძიებათა პაკეტი მიიღო. საქართველოს თავდაცვისუნარიოანობისა და ნატო-სთან თავსებადობის გაძლიერებასთან ერთად, აღნისნული პაკეტი დაეხმარა

საქართველოს ალიანსში გაწევრიანების მომზადების პროცესში ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების შესაბამისად. საქართველოს მტავრობის ერთ- ერთი მთავარი პრიორიტეტია აღნიშნული არსებითი ღონისძიებათა პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებების დროული და ეფექტიანი ინპლემენტაცია ნატო-ს წევრი ქვეყნების აქტიური ჩართულობითა და დახმარებით.[29]

როცა ვსაუბრობთ ნატო-სა და საქართველოს ურთიერთობის პოლიტიკაზე არ შეგვიძლია არ ავღნიშნოთ, საქართველოს წარმატებული ჩართულობა ნატო-ს სამშვიდობო მისიებში. ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა მაღალი სამხედრო მომზადების დონე და ურთულესი ამოცანების შესრულების უნარი არაერთხელ დაადასტურეს, რითაც საქართველოს გლობალური უსაფრთხოების სფეროში საიმედო მოკავშირე ქვეყნის სახელი დაუმკვიდრეს.[30] ქართული სამხედრო ქვედანაყოფები 1999-2008 წლებში მონაწილეობდნენ კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში (KFOR - Kosovo Forces). საქართველო ასევე მონაწილეობს ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაცია „აქტიურ ძალისხმევაში“, რომელიც ინიცირებულ იქნა ნატოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მეხუთე მუხლის საფუძველზე 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ.[31] აქვე უნდა ავღნიშნოთ 2003-2008 წლები, როცა ერაყში საქართველოს შეიარაღებულიძალები შეუერთდა ,,მრავალეროვნულ ძალებს“ (Multi-National Force-Iraq) აშშ-ს ხელმძღვანელობით წარმოებულ ოპერაციებში, კოალიციას ერაყის მთავრობისათვის ეფექტური შეიარაღებული ძალების ფორმირებისა და თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა და უზრუნველყოფა ევალებოდა. ქართული ქვედანაყოფების ძირითად ამოცანას სრული სპექტრის ოპერაციები, საკვანძო ებიექტების დაცვა, საკონტროლო-გამშვები პუნქტის ოპერაციები და სხვა სახის ამოცანები წარმოადგენდა.

---

[29] http://infocenter.gov.ge/nato-joining-tools/#1

[30] https://mod.gov.ge/ge/mission

[31] http://www.mfa.gov.ge/ევროპული-და-ევრო-ატლანტიკური-ინტეგრაცია/საქართველო-NATO-ს-ურთიერთობები.aspx

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მონაწილეობა ავღანეთში აწ უკვე დასრულებულ ოპერაციაში საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (ISAF - International Security Assistance Force). საქართველოს შეიარაღებული ძალების ორი ცალკეული ქვეითი ბატალიონის მონაწილეობის შედეგად, საქართველოს პირველი ადგილი ეკავა ISAF-ის მონაწილე, არაწევრ ქვეყნებს შორის კონტინგენტის რიცხოვნობის თვალსაზრისით. 12 000-ზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ ISAF-ის მისიაში „გადასროლის წინა მომზადება" ამერიკელი საზღვაო ქვეითების ინსტრუქტაჟით გაიარა.[32] 2015 წლის იანვრიდან დღემდე, ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში მიმდინარეობს ნატო-ს ,,მტკიცე მხარდაჭერის მისია (Resolute Support Mission- RSM), რომელშიაც ქართული ქვედანაყოფებიც იღებენ მონაწილეობას, სადაც ის ამერიკის შეერთებული სტატების შემდეგ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობით რიგით მეორე კონტრიბუტორია. აქვე უნდა აღინიშნოს სამშვიდობო მისიები ცენტრალურ აფრიკის რესპუბლიკასა და მალის რესპუბლიკაში სადაც ალიანისა და სახვა წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისაგან ქართველი სამხედროების მომზადების დონე და მათი მზადყოფნა კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებს.[33]

თუ ჩვენ ვსაუბრობთ საქართველოს გეოსტრატეგიულ პარტნიორებზე არ უნდა დაგვავიწყდეს ის გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური ვითარება, რომელიც საკმაოდ მტკივნეულია ოკუპირებული ტერიტორიების მქონე საქართველოსთვის. მთავარი საფრთხეს, როგორც ასეიმეტრიული საფრთხეების და ჰიბრიდული საფრთის კონტექსტში, ჩრდილოელი მეზობელი წარმოადგენს, სწორედ ამ საფრთხეებთან ეფექტურად ბძოლის და აღმოფხვრისათვის 2018 წლის 30 აპრილს თბილისში გაიხსნა ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმი, რომლის დღის წესრიგის საკითხებს წარმოადგენდა სახალხო დიპლომატიისა და სტრატეგიული კომუნიკაციის როლი გააქტიურებული ჰიბრიდული ომის პირობებში,

[32] https://issuu.com/eunato/docs/journal_a4_web_pages
[33] https://mod.gov.ge/ge/mission

ასევე პროპაგანდასთან ბრძოლის მეთოდები, გამოწვევები და ჰიბრიული ომის პირობები. აღნისნული ფორუმის მთავარ კონცეფციას წარმოადგენდა ,,პირდაპირი კომუნიკაცია“ რაც მიესადაგებოდა როგორც საქართველოს მთავრობის ასევე ნატო-ს ხედვას, რომ მოსახლეობას მაქიმალურად მიეწოდოს ფაქტებზე დაფუძნებული სწორი ინფორმაცია, თუ რატომ არის ევროატლანტიკური ინტეგრაცია ასე მნიშვნელოვანი, ჩვენი ქვეყნისთვის და მისი მომავლისთვის. ამავე ფორუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდებტი გიორგი მარგველაშვილი, რომელმაც აღნიშნა: ,,დღეს გასააზრებელია ის გარემოება, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით ახალი ფაზის წინ ,,ცივი ომის“ იმიცირების მცდელობისას. სწორედ ეს პოლიტიკა იქნება დეკლარირებული რუსეთის მიერ და ის ჩვენთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელია. მივესამები იმ სულისკვეთებას, რომელიც არსებობს ნატო-ში ამ პოლიტიკის საპირისპიროდ, აღმოსავლეთ მიმართულების გაძლიერებისა და განვითარებისათვის“. აქვე მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ ამავე ფორუმზე გაკეთებული აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის უეს მიტჩელის განცხადება: ,,ევროპაში რუსეთის გავლენისათვის წინაარმდეგობის გაწევა დასავლეთის ერთიანობას საჭიროებას, ერთობლივად უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ გამოვავლინოთ და შევეწინააღმდეგოთ რუსეთის ჩარევას ჩვენს დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და საზოგადოებაში, არც ერთმა ქვეყანამ ისე კარგად არ იცის, როგორც საქართველომ, თუ რას ნიშნავს რუსული საფრთხე, რომ მასტან პირისპირ საბრძოლველად გრძელვადიანი სატრატეგიაა საჭირო. საქართველოს სიძლიერე ამ საფრთხის წინაშე შთამბეჭდავია და ის ყველა ჩვენგანისათვის შთამაგონებელია. თქვენ რთულ სამეზობლოში ცხოვრობთ, სტარატეგიულ და ცივილიზაციურ საზღვრებზე მდებარეობთ და თან გამუდმებით ირჩევთ დასავლეთს“.[34]

ის, რომ საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში

[34] https://www.radiotavisupleba.ge/a/ნატო-საქართველოს-ფორუმი/29200854.html

გაწევრიანება წარმოადგენს სულად არ არის შემთხვევითი , რადგან საქართველო ნატო-ს აღიქვამს, როგორც უსაფრთხოებისა და სტაბულურობის მთავარ გარანტს. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია ნატო-ში გაწევრიანებასტან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებთან და ალიანსის რეკომენდაციებთან, რაც მნისვნელოვანწილად უწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას. თავის მხრივ საქართველო, როგორ ასპირანტი ქვეყანა და მომავალი წევრი მნიშვნელოვან როლს თანაშობს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.[35]

[35] http://infocenter.gov.ge/nato-peacekeeping-missions/#1

დასკვნა

აღნიშნული ნაშრომის საფუძველზე კარგად ჩანს, თუ რა არის ახალი ტერორიზმი და რა საფრთხეების შემცველი ის საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის. **პირველი საკვლევი კითხვის** პასუხი შეგვიძლია ამგვარად ჩამოვაყალიბოთ: რომ ეს უკვე აღარ გახლავთ ტერორიზმი კლასიკური გაგებით,

არამედ ეს გახლავთ ასიმეტრიული საფრთხე ახალი ტერორიზმის სახით, რომელშიაც წარმატებით მოხდა სამხედრო ტაქტიკის ინტეგრირება. აგრეთვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტერორიზმი არ გახლვთ თანმიმდევრული ფენომენი და სწორედ აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტერორიზმი გახლავთ, როგორც სტრატეგიული არჩევანი იმ დაჯგუფებების მიერ, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური თუ სამხედრო ინტერესების გატარებისათვის ისწრაფვიან. მეორე საჰიპოთეზო კითხვის საფუძველზე ირკვევა, რომ ახალი ტერორიზმი, როგორც ასიმეტრიული საფრთხე დიდ გამოწვევას წარმოადგენს დემოკრატიული ქვეყნებისათვის, რომელმაც არ იცის საზღვრები, როგორც ნაციონალურ ისე საერთაშორიო სამართლის, მშვიდობისა და ომის, საშინაო და საგარეო მიმართულების პოლიტიკაში. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ასიმეტრიულმა საფრთხემ, როგორიც ახალი ტერორიზმია, მიაღწია, როგორც ხარისხობრივ ასევე რაოდებობრივი განვითარების გარკვეულ დონეს. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ ასიმეტრიული საფრთხე გახლავთ, როგორც სახელმწიფოთა შორის, ასევე სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.

მეორე საკვლევი კითხვის საფუძველზე გამოიკვეთა ის გარემოება, რომ ასიმეტრიული საფრთხის მოქმედება სახელმწიფო პოლიტიკაზე ვლიდენა ორი ან მეტი აქტორის დაპირისპირებაში (სახელმწიფოები, ორგანიზაციები, დაჯგუფებები), სადაც ასიმეტრიული საფრთხეების განსაზღვრას მთავარი ადგილი უჭირავს უსაფრთხოების პოლიტიკაში, რომელიც გამოიხატება არათანაბარ ვითარებაში არსებული ორი ან მეტი აქტორის მოქმედებაში. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ასიმეტრიული პოლიტიკური საფრთხების მთავარ დასაყრდენს სწორედ ეს არათანაბრობა განსაზღვრავს, რომელიც გამოხატულია არათანაბარი საშუალებებისა და რესურსების არსებობაში, სწორედ ეს არათანაბრობა მართავს საერთაშორისო სისტემას. ნეორეალიზმის ,,ძალთა ბალასის'' თეორია, რომელიც საერთაშორისო სისტემის ანარქიულობაზე მიუთითებს, ასევე შეიცავს ასიმეტრიული

საფრთხეების არსებობის მკვეთრ ნიშნებს, რაც გამოიხატება სახელმწიფოებისა და არასახელმწიფოებრივ აქტორების არსებობაში, სადაც არსებულ ასიმეტრიულ საფრთხეებს მნიშვნელოვანი როლი უჭირავს მათ მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ დღისწესრიგში. **რაც შეეხება მესამე და მეოთხე საკვლევ კითხვას;** იქ, სადაც საუბარია ასიმეტრიულ პოლიტიკურ საფრთხეებზე არ შეიძლება განცალკევებით ვისაუბროთ სამხედრო ასიმეტრიულ საფრთხეებზე, რადგან ეს ორი, თითქოს განსხვავებული მიმართულება, ერთ დიდ მთლიანობას წარმოადგენს და ასიმეტრიული საფრთხეების სამხედრო პოლიტიკურ კონტექსტში განიხილება. ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე წარმოადგენს მჭიდროდ კომბინირებულ ფენომენს ტერორიზმისა, რომელიც მასობრივ მკვლელობებზეა მიმართული და იყენებს სამხედრო ტაქტიკურ მიდგომებს, რომელიც მიზნის ზუსტი შესრულების სტრატეგიით გამოირჩევა. უნდა ავღნიშნოთ ის გარემოება, რომ დღეს ცივილიზებული სამყარო დგას, როგორც ეკონომიკური, სამხედრო, ტერორისტული და კრიმინალური საფრთხეების წინაშე და სწორედ აღნიშნული საფრთხეების აღმოფხვრის შედეგად მიიღწევა უსაფრთხოების ის დონე, რომელზედაც დემოკრატიული ქვეყნები შეძლებენ, დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას და განვითარებას. ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე სოციალიზაციის ის ფორმა, სადაც არ არსებობს რაიმე რეგულირების მექნიზმი და მისთვის დამახასიათებელ თვისებებს არაპირდაპირი, არარეგულირებადი და არატრადიციული სტრატეგია წარმოადგენს, რომელიც საშუალებას აძლევს ასიმეტრიულ სამხედრო საფრთხეს, როგორც ასიმეტრიულ ომს ან ასიმეტრიულ კონფლიქტებს დაპირისპირების ან საფრთხის არსებობის პერიოდში არ გამოიკვეთოს ძლიერი მხარე/აქტორი, რადგან ასიმეტრიული ბრძოლის სტრატეგია თავისთავშივე გამორიცხავს ომის სიმეტრიულობას, რომელშიაც მკვეთრად იკვეთება ერთი ძლიერი აქტორი. ასიმეტრიული საფრთხეების მთავარ მამოძრავებელ ღერძს: პოლიტიკური, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორები წამოადგენს, რომლლებიც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშურებული

და ხშირად გადაიზრდება ისეთ ფორმებში, როგორიცაა: რადიკალიზმი, ექსტრემიზმი, ფანატიზმი და ფუნდამენტალიზმი.

თემაში წამოჭრილი პირველი ჰიპოთეზის პასუხად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ დღეს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში გლობალური მრავალპოლუსიანი სისტემა არსებობს, რომელშიც განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო ძლიერების აღქმის კრიტერიუმები თანდათან ცვალებადი ხდება, სწორედ ამიტომ სახელმწიფოების სურვილი გააკანტროლოს ესა თუ ის სივრცე განაპირობებს მსოფლიოში ერთგვარ წონასწორობას. XXI საუკუნეში უსაფრთხოების ცნება არ მოიცავს, ცალკეული ქვეყნების საზღვრებს, რადგან უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, მხოლოდ რეგიონალური და თანამეგობრობის გზით არის შესაძლებელი და სწორედ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება ჩრდილოანტიკური ორგანიზაცია (NATO). XX საუკუნეში შექმნილი ეს ორგანიზაცია XXI საუკუნეშიაც არ კარგავს აქტუალობას, რადგან ნატო-მ შეძლო მრავალხრივი ტრანსფორმაცია განეცადა და ეფექტურად გამკლავებოდა იმ მიზნებსა და გამწვევებს, რომლის წინაშეაც დგას დღეს მსოფლიოს გეოპოლიტიკური სივრცე.

ახალი მიზნები და გამოწვევები მკვეთრად აისახა ნატო-ს სამიტებზე წარმოდგენილ და მიღებულ სტრატეგული კონცეფციებში, დოქტრინალურ და პრაქტიკულ დონეებზე. აქ საუბარია სწორედ იმ ახალ ასიმეტრიულ პოლიტიკურ სამხედრო საფრთხეებზე, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, მასთან ბრძოლის მექანიზმებზე და მაქსიმალურადმშვიდობიანი გზით პრობლემის გადაჭრის გზებზე. ტრანსატლანტიკური ალიანსი ხელს უწყობს კრიზისების დარეგულირების ყოვლისმომცველი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მეთოდების, მათ შორის სტაბილიზაციისა და რეკონსტრუქციისაკენ მიმართული ძალისხმევის განვითარებას. ამის განხორციელება კი ხდება მონაწილეთა რაოდენობის გაზრდით, მათ შორის თანამშრომლობით ისეთ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციენთან, როგორებიცაა გაერთანებული ერების

ორგანიზაცია, ევროპის კავშირი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ეს კი სრულად პასუხობს **თემაში დასმულ მეორე ჰიპოტეზას.**

ნატო-ს წევრი ქვეყნების მოქალაქეები ეყრდნობიან ალიასს, რათა იგი დაეხმაროს მათ თავიანთი ქვეყნების დაცვაში, განათავსოს საიმედო შეიარაღებული ძალები იქ, სადაც ეს საჭიროა მათი უსაფრთხოებისათვის და ასევე დაეხმაროს სხვადასხვა პარტნიორ ქვეყნებს მთელს მსოფლიოში უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. მიუხედავად იმისა რომ მსოფლიო იცვლება და ალიანსი ვითარდება ნატო-ს ტავდაპირველი მისია უცვლელი რჩება: უზრუნველყოს ის, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დარჩეს თავისუფლების, მშვიდობისა და უსაფრთხოების, ასევე საერთო ღირებულებების მქონე ერთიან თანამეგობრობად.

გამოყენებული ლიტერატურა

1) გ. ანთაძე ,,სტრატეგიული კვლევები N2 ‘‘ გამომცემლობა ,,საუნივესიტეტო წიგნი‘‘ თბილისი, 2009 წელი.

2) კ.კაციტაძე ,,სტრატეგიული კვლევები N1 ‘‘ გამომცემლობა ,,საუნივესიტეტო წიგნი‘‘ თბილისი, 1999 წელი.

3) გ.მაღრაძე, ვ.მაისაია ,,21-საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა, ,,უნივერსალი“, თბილისი, 2017.

4) ნ. ჩიტაძე ,,ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“, გამოიცა პროექტის,,ნატოს სწავლების“ ფარგლებში, თბილის, 2008 წელი.

5) Nathaniel A. Bailey ,, NATO and the War on Terrorism: Objectives and Obstacles“, Monterey, California, 2004 Year.

6) Bruce Hoffman ,,Inside Terrorism “, Columbia University Press Books , USA, 2006 Year.

7) Bruce Hoffman ,,International Politics“, What is Terrorism? , Longman, New York, 2007 Year.

9) Matthew J. Morgan ,,The Origins of the New Terrorism “, New York, 2004 Year.

10) David Tucker ,, What's New About the New Terrorism and How Dangerous Is It?“, Monterey, California USA, 2001 Year.

11) Alexander Spencer ,, Questioning the Concept of 'New Terrorism' “, Peace Conflict & Development, Issue 8, January 2006 Year.

12) Aus Politik und Zeitgeschichte , ,,Terrorismus“, Berlin, 2016 Jahr.

13) Dorothee Dienstbühl ,,Islamistischer Terrorismus und Organisierte Kriminalität“, Wissenschaft & Sicherheit Nr. 5/2007, Bonn, 2007 Jahr.

14) Christopher Daase ,,Terrorismus – Begriffe, Theorien und Gegenstrategien“, Brüssel, 2001 Jahr

15) Patrick Fitschen ,,David gegen Goliath –Asymmetrische Kriegführung “,Frankfurter Allgemeine Zeitung vom 17. September 2004 Jahr.

16) S. Goertz ,,Der neue Terrorismus“, Springer Fachmedien Wiesbaden GmbH 2018 Jahr.

17) Klaus Lange ,,Neue Formendes Terrorismus Aspekte - Trends – Hypothesen“, München, Hanns-Seidel-Stiftung, 1998 Jahr.

18) Herfried Münkler & Felix Wassermann ,, Asymmetrische Kriege“, Internationale Politik und Außenpolitik an der Universität zu Köln, 2001Jahr

19) Ruprecht Polenz ,, NATO, Terrorismus und eine neue Weltordnung“, Die politische Meinung, Berlin, 2002 Jahr.

20) Klaus Segbers, Conny Beyer ,,Global Risks“- Alte und Neue Kriege, Osteuropa-Institut der Freien Universität, Berlin 2001Jahr

21) Armin Pfahl- Traughber ,,Der „alte“ und der „neue“ Terrorismus. Das Gefahrenpotential politisch motivierter Gewalt im Vergleich“, Bundesministerium für Inneres – Sicherheitsakademie / Verlag NWV, 2010 Jahr.

22) Felix Wassermann ,,Asymmetrische Kriege: Eine politiktheoretische Untersuchung zur Kriegführung im 21. Jahrhundert'', Frankfurt/New York , Humboldt-Universität zu Berlin, 2014 Jahr

გამოყენებული ვებ-გვერდები

1. www.nato.int - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
2. www.infocenter.gov.ge - საქართველო და ნატო-ს საინფორმავიო ცენტრი
3. www.mfa.gov.ge - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
4. https://www.pw-portal.de/schlaglichter/40539-der-neue-terrorismus - პოლიტიკურიმეცნიერების პორტალი
5. http://www.bpb.de/veranstaltungen/dokumentation/130095/der-neue-terrorismus - პოლიტიკური განათლების პორტალი
6. http://www.911-archiv.net/Deutschland-und-der-Krieg/die-funktion-des-terrorismus-in-der-strategie-der-nato.html - 911-არქივი
7. http://www.ungeorgia.ge/geo/პუბლიკაციები/გლობალური_პუბლიკაციები?info_id=1#.WyDhfZj4nIV - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება

8. http://www.ungeorgia.ge/geo/პუბლიკაციები/გლობალური_პუბლიკაციები?info_id=70#.WyDihpj4nIV - ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
9. https://mod.gov.ge/ge/mission- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
10. https://www.radiotavisupleba.ge/a/ნატო-საქართველოს-ფორუმი/29200854.html - რადიო თვისუფლება

დანართი

2001 წლის სექტემტიდან 2018 წლის მაისის ჩათვლით, მომხდარი ტერორისტული თავდასხმებისა ქრონოლოგია ასეთია:

1) **11. სექტემბერი 2001 წელი, ნიუ-იორკი** – ტერორისტული ორგანიზაციის ალ-ქაიდან მიერ მოხდა ორი უმსხვილესი სავაჭრო ცენტრის ,,ტყუპების“ და პენტაგონის მარცხენა ფლიგელის სამგზავრო თვითმფრინავებით შეტევა, რამაც გამოიწვია 3000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვა და უამრავი ადამიანის დაშავება.

2) **მარტი 2004 წელი, მადრიდი** – ისლამური დაჯგუფების მიერ მოხდა სამგზავრო მატარებლის აფეთქება ესპანეთის დედაქალაქში, სადაც აღნიშნულ ინციდენტს ემსხვერპლა 191 მშვიდობიანი მოქალაქე , ხოლო 1500 დაშავდა.

3) **ივლისი 2005 წელი, ლონდონი** – ოთხი მუსლიმანი ბრიტანეთის პასპორტით აფეთქებს მეტროს და ასევე სამგზავრო ავტობუსს, სადაც 56 ადამიანი დაიღუპა და 500 დაშავდა.

4) **მაისი 2014 წელი, ბრიუსელი** – ეროვნებით ფრანგი ისლამისტი ებრაელების მუზეუმში იარაღით საფრთხეს უქმნის მშვიდობიან მოლაქეებს და თავის თავს ,,ღმერთისთვის მებრძოლს უწოდებს,, აღნიშნულ ინციდენტს ემსხვერპლა 5 მშვიდობიანი მოქალაქე.

5) **იანვარი 2015 წელი, პარიზი** – ფრანგული სატირული ჟურნალის "Charlie Hebdo" მიერ გამოქვეყნებული კარიკატურილი ნახატების საპასუხოდ მომხდარ ტერორისტულ თავდასხმაში დაიღუპა 17 ადამიანი. თავად ტერორისტი აცხადებდა რომ ის წარმოადგენდა ტერორისტულ იონგანიზაციას Al Kaida.

6) **თებერვალი 2015 წელი, კოპენჰაგენი** – 22 წლის არაბი ახალგაზრდა ცეცხლსასროლი იარაღისთ შეიჭრა კოპენჰაგენის ერთ ერთ კულტურულ

დაწესებულებაში. სროლის შედეგად დაუღუპა ერთი ადმიანი და ასევე იქვე არსებული სინაგოგის მეთვალყურე.

7)ნოემბერი 2015 წელი, პარიზი – კოორდინირებული აფეტქებების სერია რომლებიც განლაგებული იყო პარიზის სხვადასხვა სივრცეებში , ამ აფეთქებათა შედეგად IS მიმდევრებმა 130 ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს და ასობით მშვიდობიანი მოქალაქე დაშავდა .

8) იანვარი 2017 წელი, სტამბული – სტამბულის ისტორიულ ცენტრში თვითმკვლელმა IS ის მიმდევარმა ტურისტული ჯგუფის მახლობლად თავი აიფეთქა და დაიღუპა 12 გერმანელი ტურისტი

9) მარტი 2016 წელი, ბრიუსელი – აეროპორტში მომხდარი ტერორისტული აქტის შედეგად დაიღუპა 32 ადამიანი

10) ივლისი 2016 წელი, ნიცა – ტერორისტი სამგზავრო მიკროავტობუსით შეიჭრა ფეხითმოსიარულეთა სავალ ბილიკზე სადაც აღნიშნულ ინცინდენტს ემსხვერპლა 86 ადამიანი და 400 დაშავდა. ომხდარ ინციდენტზე პასუხისმგებლობა აიღო IS – ორგანიზაციამ .

11) დეკემბერი 2016 წელი, ბერლინი – შობის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე IS - მებრძოლი ტერორისტი ხალხით სავსე საშობაო ბაზრობაზე სატვირთო ავტომობილით შეიჭრა , სადაც დაშავდა მშვიდობიანი მოსახლება. რამდენიმე დღის შემდეგ კი 24 წლის ტუნისელი ტერორისტი მაილანდში საპოლიცო კონტროლის შედეგად გარდაიცვალა .

12) მარტი 2017 წელი, ლონდონი – ლონდონის ცენტრში ტერორისტმა მოახერხა ავტობუსის გადაყვანა ხიდის საფეხმავლო ბილიკზე. დამნაშავე ლიკვიდირებულ იქნა პოლიციის მიერ.

13) აპრილი 2017 წელი, სტოქჰოლმი – შვედეთის დედაქალაქის ქუჩაზე სადაც განთავსებულია მაღაზიათა დიდი რაოდენობა და მხოლოდ დასაშვებია

საფეხმავლო ბილიკი , სატვირთო ავტომობილით შეიჭრა ტერორისტი და გარდაიცვალა 5 მოქალაქე და დაშავდა 15. ერთი დღის შემდეგ პოლიციამ დააკავა ტეროტიზმში ეჭვმიტანილი წარმოშობით უზბეკი 39 წლის მამაკაცი.

14) **აპრილი 2017 წელი, პარიზი** – მამაკაცმა სამგზავრო ავტობუსში გახსნა ცეცხლი რასაც ემსხვერპლა ავტობუსისი მძღოლი და დაშავდა 3 მგზავრი . ტერორისტი პოლიციის მიერ იქნა ლიკვიდირებული.

15) **მაისი 2017 წელი, მანჩესტერი** – ამერიკელი პოპმომღერლის არიანა გრანდეს კონცერტის შემდეგ თავი აიფეთქა ტერორისტმა სამლმან აბედმა. იმსხვერპლა 23 ადამიანი და დაშავდა 120 მშვიდობიანი მოქალაქე. გარდაცვლილითა შორის ბევრი გახლდათ არასრულწლოვანი, ყველაზე ახალგაზრდა გახლდათ 8 წლის. ეს იყო ყველაზე მაშტაბური ტერორისტული აქტი დიდ ბრიტანათში 2005 წლის შემდეგ.

16) **ივნისი 2017 წელი, ლონდონი** – გადამზიდი სატვირთო შეიჭრა ლონდონის საფეხმავლო ხიდზე, დაშავდა მშვიდობიანი მოქალაქენი, აღნისნულმა სატვირთომ გზა განაგრძო ბაზრობისაკან სადაც სამი ადამიანი იმსხვერპლა ცივი იარაღით. აღნიშნულ შემთხვევას ემსხვერპლა 7 ადამიანი და ბევრი დაშავდა. ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა აიღო ისლამურმა სახელმწიფომ.

17) **აგვისტო 2017 წელი, ბარსელონა** – ტურისტებისათვის ცნობილ Las Ramblas ბულვარში ტეროტისტებმა ააფეთქეს სამზავრო მანქანა რასაც 12 ადამინის სიცოცხლე ემსხვერპლა და 80 დაშავდა. პოლიციამ მოახერხა 5 მათგანის ლიკვიდირება და ორი ეჭვმიტენილის დაკავება.

18) **1 მაისი 2018 წელი, რუსეთი, სტავროპოლი** – ისლამური სახელმწიფოს მებრძოლმა ტერორისტებმა იერიში მიიტანეს საპოლიციის ორგამოზე, რის შედეგადაც დაშავდა 2 ადამიანი, ხოლო ყველა ტერორისტი იქნა ლიკვიდირებული.

19) 12 მაისი 2018 წელი, საფრანგეთი, პარიზი – ისლამური სახელმწიფოს მებრძოლმა ტერორისტებმა იერიში მიიტანეს მშვიდობიან მოქალაქეებზე გარდაიცვალა 19 და დაშავდა 32 მშვიდობიანი მოქალაქე, ხოლო ყველა ტერორისტი იქნა ლიკვიდირებული.

20) 19 მაისი 2018 წელი, გროზნო – ისლამური სახელმწიფოს მებრძოლმა ტერორისტებმა იერიში მიიტანეს მართმადიდებლურ სამლოცველოზე და ცდილობდნენ მშვიდობიანი მოქალაქეების მძევლად აყვანას. დაშავდა 2 ადამიანი, ხოლო ყველა ტერორისტი იქნა ლიკვიდირებული.

21) 28 მაისი 2018 წელი, ბელგია – ისლამური სახელმწიფოს მებრძოლმა ტერორისტებმა იერიში მიიტანეს მშვიდობიან მოქალაქეებზე მძევლად აყვენის მიზნით. დაშავდა 4 მშვიდობიანი მოქალაქე და ყველა ტერორისტი იქნა ლიკვიდირებული.